# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 15 იანვარი 2007 №6 (2929) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# არავითარი პოლიფონია! საქართველო ერთხმაა: პლატინი

## ჩვენ ერთი გუნდი ვართ! საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძველ-ახალი პრეზიდენტები უეფას ფრანგულ ბანაკში არიან





# უეფამ პასპორტებში ჩაიხედა: ბებერ ხარებში შოთა არველაძე პირველია



35 წლის შვედი ჰენრიკ ლარსონი, 33 წლის ნორვეგიელი ოლე გუნარ სოლსკიაერი, 33 წლის პორტუგალიელი პედრუ პაულეტა, 35 წლის ბოსნიელი სერგი ბარბარესი, 35 წლის ესპანელი ისმაელ ურსაისი, 35 წლის თურქი ჰაკან შუქური, 40 წლის ინგლისელი ტედი შერინგემი...

იმის გარდა, რომ ყველა ესენი 30 წელს გადაცილებულან, ანუ ვეტერანი ფეხბურთელები გახლავან, ერთი საერთოც აქვთ — ფორვარდები არიან.

და არის კიდევ ერთი, რამაც შეკრა ეს შვიდეული — ეს „ერთი" შოთაა, არველაძე, 33 წლის ქართველი თავდამსხმელი, საქართველოს ნაკრების საუკეთესო მეგოლე, ჰოლანდიური „ალკმაარის" კაპიტანი და ლიდერი...

„შოთა არველაძე მოქმედ ვეტერან ფეხბურთელთა შორის საუკეთესო ბომბარდირია. მან 10 გოლი გაიტანა ჰოლანდიის მიმდინარე ჩემპიონატში, 5 კი უეფას თასზე. სტატისტიკა ყველაფერზე მეტყველებს: „ალკმაარში" გატარებულ წელიწადნახევარში არველაძემ 49 მატჩში 32 ბურთი შეაგდო" — წერს უეფას ოფიციალური ვებგვერდი, რომელმაც მოქმედ ვეტერან ფორვარდთა შორის საუკეთესოდ სწორედ არველაძე აღიარა.

„ალკმაარის" მწვრთნელი ლუის ვან გაალი კი შოთას მხოლოდ ასეთი შედეგიანობის გამო როდი აფასებს...

„არველაძე ძვირფასია არა მხოლოდ როგორც ფეხბურთელი, არამედ როგორც კაპიტანი და პიროვნება. ის უმაღლესი კლასის პროფესიონალია" — განუცხადა ვან გაალმა uefa.com-ს.

# საქართველო ნულია?




მეოთხე თამაში და მეოთხე მარცხი — გუშინ საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა რუმინეთში 24:30 წააგო და ამით პლეი ოფში გასვლის ყოველგვარ ზღაპრულ-თეორიულ ვარაუდებს წერტილი დაუსვა.

დარჩა ჩვენსავით სუსტი ბულგარეთი, რომელიც კარის გასაჯახუნებლადაც არ გამოდგება. უბრალოდ, სირცხვილი იქნება, ჩვენი ნაკრები ამ ორ შეხვედრასაც თუ წააგებს და შესარჩევ ციკლს უქულოდ დაასრულებს.

## არადა, შარადა.

## როგორი ჰანდბოლები გაგვქონდა! მოვა თაობა და იკითხავს, რა გვქონდა?

# კონცეპტუალური სტრატეგია

## ნოდარ ახალკაცი: ჩვენი და პლატინის ხმა ერთია



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ორიოდ დღის წინ პარიზში გახლდათ, სადაც თავის ევროპელ კოლეგებთან ერთად საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისის გახსნას დაესწრო და თან პირისპირ შეხვდა უეფას პრეზიდენტობის კანდიდატ მიშელ პლატინის. მოგეხსენებათ, უეფას კონგრესი და საპრეზიდენტო არჩევნები გერმანულ დიუსელდორფში 25-26 იანვარს გაიმართება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კი ამ ერთი კვირის წინ დააფიქსირა თავისი პოზიცია და თქვა, რომ უეფას თავკაცის პოსტზე ხმას სწორედ პლატინის მისცემს. ახალკაცისა და ფრანგის ეს შეხვედრაც წინასაარჩევნო ამბებით იყო განპირობებული და მნიშვნელოვანი.

თანაც, ერთის დავიწყებაც არ შეიძლება — მიშელ პლატინის საარჩევნო შტაბის ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიაა. როგორც ვიცით, პლატინის გაპრეზიდენტების შემთხვევაში ის უეფაში დასაქმდება. მოკლედ, ფედერაციის ყოფილი და ამჟამინდელი პრეზიდენტები პლატინის ბანაკში არიან და ერთად ეწევიან ფრანგის წინასაარჩევნო პროპაგანდას...

— მიშელ პლატინის საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისის გახსნის შემდეგ შევხვდი. ზოგად თემებზე და იმ შესაძლო პროექტებზე ვისაუბრეთ, რომელიც უეფას პრეზიდენტად მის არჩევას შეიძლება მოჰყვეს — გვითხრა ნოდარ ახალკაცმა, რომელსაც გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით. მან იქ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებთან ერთად სამომავლო გეგმა უნდა შეიმუშაოს — სხვათა შორის, პლატინის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია კიდევ ერთხელ დავუდასტურე და ისიც ვუთხარი, რომ ჩვენი არჩევანის შესახებ პრესაშიც განვაცხადეთ. ბუნებრივია, ფრანგს ეს ამბავი ძალიან ესიამოვნა და აღნიშნა, საქართველო პირველია, ვინც ეს ხმამაღლა გააკეთაო. პლატინიმ მთხოვა, მის საარჩევნო კამპანიაში კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღო. ახლა კი კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ფეხბურთის ფედერაცია უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში ხმას მიშელ პლატინის აძლევს.

— საფრანგეთში იყო უეფას პრეზიდენტი და პლატინის კონკურენტი ლენარტ იუჰანსონიც. მას აღარ შეხვედრიხართ?

— შევხვდი, ოღონდ დიდხანს არ გვისაუბრია და არც საარჩევნო საკითხებს შევხებივართ.

— პარიზში მთელი საფეხბურთო ევროპა იყო მიწვეული. რაიმე კონტურები ხომ არ გამოკვეთილა, ვის აქვს უეფას პრეზიდენტობის მეტი შანსი?

— ვერაფერს გეტყვით, გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ არჩევნებამდე კონკურენტთა შანსებზე საუბარი არ შეიძლება, ვინაიდან კენჭისყრა ფარულია. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ოფისის გახსნაზე თავიდან ოცამდე ფედერაცია და მათ შორის ჩვენც მიგვიწვია, მაგრამ წინა დღით ფრანგებმა თითქმის ყველა ევროპული ფედერაციის დაპატიჟება გადაწყვიტეს. 42 ქვეყნის წარმომადგენელი იყო პარიზში, ამათგან ფედერაციის პრეზიდენტი 37 გახლდით. მასპინძლებმა კი მოგვიანებით აღნიშნეს, ამ ქვეყნების ფედერაციებს პლატინის მიმართ ანტიპათია რომ ჰქონდეთ, პარიზში არ ჩამოვიდოდნენო.

— საფრანგეთი ალბათ ხმას პლატინის მისცემს...

— დიახ, საფრანგეთის ფედერაცია პლატინის მხარდამჭერია...

— გერმანელები იუჰანსონს ემხრობიან?

— როგორც ჩვენ გამოვაცხადეთ ჩვენი არჩევანის შესახებ, ისე გააკეთა გერმანიის საფეხბურთო კავშირმა — ოღონდ ისინი ხმას იუჰანსონს აძლევენ. გერმანელებს უეფას პრეზიდენტთან ეთიკური ვალდებულება აქვთ, რომ ასე მოიქცნენ — სწორედ იუჰანსონის დიდი გავლენის შედეგად მიიღო გერმანიამ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება.

— როგორც ვიცით, პლატინის მხარდამჭერი ფედერაციების წარმომადგენლები უეფას კონგრესამდე ერთმანეთს უნდა შეხვდეთ...

— დიახ, პარიზშივე შევთანხმდით, რომ ეს შეხვედრა დიუსელდორფში 25 იანვარს შედგეს. უკვე გადაწყვეტილია, რომ 20 ქვეყნის ფედერაცია მიიღებს შეხვედრაში მონაწილეობას, თუმც ალბათ ხუთიც დაგვემატება. საბოლოოდ შევაჯერებთ ჩვენს წინასაარჩევნო პოზიციებს და ალბათ საერთო აზრიც ჩამოგვიყალიბდება. საპრეზიდენტოსთან ერთად უეფას კონგრესზე აღმასკომის წევრთა არჩევნებიც იქნება და, ბუნებრივია, ამ საკითხზეც ვიმსჯელებთ. ჩვენ მათ მივცემთ ხმას, რომლებიც აღმასკომში ყოფნით ქართული ფეხბურთისთვის მეტ სარგებელს მოიტანს. თუმცა, ცხადია, არც ზოგად საფეხბურთო ინტერესებს დავივიწყებთ. სხვათა შორის, 25 იანვრის შეხვედრის ორგანიზატორი სწორედ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა.

— ბრაზილიელ კოლეგებთან ამხანაგური მატჩის თაობაზე მოსალაპარაკებლად შეხვედრას როდისთვის აპირებთ?

— ეს ამ დღეებში გაირკვევა. შეხვედრა ალბათ უეფას კონგრესის შემდეგ შედგება.

— გერმანიაშიც რაიმე მნიშვნელოვანი შეხვედრები გაქვთ დაგეგმილი?

— ნაკრების ხელმძღვანელობასთან რამდენიმე პროექტზე ვმუშაობთ, ვფიქრობთ, როგორ გავაუმჯობესოთ საქართველოს ჩემპიონატში ფეხბურთელთა პირობები და სამისოდ გერმანიის საფეხბურთო კავშირის უდიდეს გამოცდილებას ვითვალისწინებთ. სხვა ბევრ სტრატეგიულ-კონცეპტუალურ საკითხებზეც ვმუშაობთ. ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან შეხვედრისთვის კი მოსკოვში აქედანვე გავემგზავრები.

**ქობა ინასარიძე**

# დინამომ და კორინთიანსმა ძმობა გაიხსენეს

## საქართველო-ბრაზილია: როქის გვირაბი



ბუბა ტყავაძე

**თბილისის** „დინამო“ რომ ანთალიურ შეკრებაზეა და ერთი ამხანაგური მატჩიც უკვე ითამაშა, გეცოდინებათ — ჩვენებმა გროზნოს „ტერეკი“ 1:0 დაამარცხეს. დღეს კი თბილისელები ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ უნდა დაუპირისპირდნენ და იმ ორი უცხოელის, ავსტრალიელი ნედ ზელიჩისა და სლოვაკი მილოშ კრშკოს გარდა, რომლებიც „დინამოში“ გასინჯვაზე არიან, შესაძლოა, უკრაინელებთან მესამე უცხოტომელმაც ითამაშოს. დუშან უჰრინი კიდევ ერთ ფეხბურთელს ელის და, თუ ის „დინამოს“ დროულად შეუერთდა, პირველ გამოცდას მწვრთნელი დღესვე მოუწყობს. რა კაცია ეს უცხოელი, ჯერ ვერ გეტყვით, სამაგიეროდ კი...

როცა „დინამო“-„მეტალურგი“ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, თბილისელთა მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე და სპორტული კოორდინატორი გია ჯიშკარიანი ოკეანის თავზე იქნებიან — ისინი ბრაზილიაში, სან პაულუში მიემგზავრებიან, სახელოვან „კორინთიანსში“ აქვთ საქმეები.

გეცოდინებათ, „დინამოსა“ და „კორინთიანსს“ ერთმანეთთან პარტნიორული ურთიერთობა აქვთ და ეს თანამშრომლობა რამდენიმე წლის წინ ოფიციალურად გაფორმდა. ჰოდა, ქართველებს და ბრაზილიელებს ახლაც გამოუთქვამთ ერთმანეთთან შეხვედრის სურვილი. ტყავაძე და ჯიშკარიანი სან პაულუში ერთ კვირას დარჩებიან და შინ, ალბათ, ხელცარიელები არ დაბრუნდებიან — სავარაუდოდ, „დინამოს“ უფროსობას „კორინთიანსის“ რამდენიმე ფეხბურთელთან ექნება მოლაპარაკება და, შესაძლოა, გუნდს სხვა უცხოელებთან ერთად ბრაზილიელებიც შეემატონ. ყოველ შემთხვევაში, „დინამოს“ ხელმძღვანელობას ამის სურვილი აქვს. არც ისაა გამორიცხული, „კორინთიანსში“ ერთი-ორი დინამოელიც წავიდეს: ასე ვთქვათ, „დინამომ“ და „კორინთიანსმა“ ფეხბურთელები გაცვალონ.

**ქობა ინასარიძე**

გიო ახვლედიანის სვეტი

# სმიტის წასვლა

წინა კვირაში საქართველოს ნაკრებისთვის საინტერესო ამბავი ის იყო, რომ უოლტერ სმიტი შოტლანდიის ნაკრებიდან გაიქცა და თავის საყვარელ „რეინჯერსს“ შეუერთდა.

ახლა მთელი შოტლანდია (აიბროქსის გარდა) სმიტს აკრიტიკებს, ეს რა ქნაო, ეროვნული გუნდი კლუბზე გაცვალაო. „რეინჯერსმა“ კი უკვე მოიგო მისი უფროსობით — 5:0.

გაცვლიდა: არა მარტო, ვთქვათ, ხუთჯერ მეტი ხელფასისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ „რეინჯერსი“ მისი სახლია და საერთოდაც, როგორც ჩანს, სმიტს ნაკრები დიდად არ უნდოდა. ისედაც, ის სრულიად ლეგენდარული ვინმეა, დროებით ჭირში ჩავარდნილ „რეინჯერსს“ 9-ჯერ ზედიზედ მოაპოვებინა ჩემპიონობა და ამით მისი დიდი მასწავლებლის, ჯოკ სტინის სელტიკურ მიღწევას გაუტოლა „რეინჯერსი“.

ჩვენთან სმიტისნაირ ფეხბურთის კაცებზე ცოტა იციან და, მგონი, დიდი არაფერი პატივისცემა აქვთ მათი, იმიტომ, რომ „მილანის“ და „რეალის“ მწვრთნელებად არ ყოფილან და არც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაუყვანიათ პატარა გუნდები. არადა, თუკი, ვთქვათ, „მილანის“ მწვრთნელად ოსკარ ტაბარესი ყოფილა, „რეალის“ კი ჯონ ტოშაკი, სმიტი მაშინ საპლანეტთაშორისო ნაკრების მწვრთნელი თავისუფლად იქნებოდა.

მგონი, აქ არ დამეტევა, მის შესახებ რაღაცებს რომ მოვყვე.

იმ დღეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცს უხუმრია, სმიტი ჩვენთან თამაშს დაემალაო და იმიტომ წავიდაო. კაი ხუმრობაა. როგორმე სმიტსაც რომ გავაგებინოთ, ისიც ჩვენთან ერთად გაიცინებდა.

ჩვენთვის სმიტის წასვლა კარგია.

შოტლანდიელებს ისედაც არ ეყოლებათ წამყვანი ფეხბურთელები ჩვენთან თამაშში და საერთოდ, ახალი მენეჯერი ეყოლებათ, რომელიც მეეჭვება, სმიტის გაქანებისა იყოს. გარი მაკალისტერი კაი კაცია და, მგონი, სწორედ რომ ისეთი, სქოთებს უხელმძღვანელოს, მაგრამ ვერც ის და ვერც მაკლიში ვერ შეძლებდნენ იმას, რაც ამ შემოდგომაზე სმიტმა გაუკეთა წლების განმავლობაში მკვდარივით მძინარ სქოთთა ნაკრებს.

მოკლედ, მგონია, რომ სმიტის წასვლა, ჩვენთვის კარგია.

პრობლემა კი ალბათ ის გვექნება, რომ ახალი მწვრთნელი ჩვენთან თამაშში სიბრძნეების გამოგონებას არ დაიწყებს. უსიბრძნეებოდ კი შოტლანდიური ფეხბურთი „ჰემპდენზე“ ინსტინქტებითაა გასაძლები. ვთქვათ, უნდა გქონდეს დაკიდული ბურთის გამოტანის ინსტინქტი — ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

# ოფსფორმა ამერს ტრავმები შესჩივლა

## ყვითლებს წითლები შერჩათ

**შეკრების** დროს შეთანხმების ჩაშლა ხშირად ხდება ხოლმე და ასე შეემთხვა „ამერსაც“. თურქეთის მეორელიგელმა „ოფსფორმა“, რომელსაც თბილისელები გუშინ უნდა შეხვედროდნენ, თამაშზე უარი განაცხადა, მიზეზად კი ვარჯიშზე რამდენიმე ფეხბურთელის დაშავება მოიყვანა.

ახალი სპარინგ-პარტნიორის უცებ მოძებნა ვერ მოხერხდა. რამდენიმე შეთავაზებაზე „ამერის“ თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ თქვა უარი, სასურველ მეტოქეებთან კი შეხვედრის დროის ან ადგილის თაობაზე ვერ მოხერხდა შეთანხმება.

ერთი სიტყვით, გუშინ „ამერმა“ ამხანაგური მატჩი ველარ ჩაატარა, თბილისში დაბრუნებამდე კი ერთი თამაში კიდევ აქვს დაგეგმილი: 15 იანვარს მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლ-შემადგენლობას გაეჯიბრება.

**გიორგი დარჯანია**
**ბელეკიდან**

# ვან გაალის გალაობაზე



**ჰოლანდიის** ჩემპიონატი 19 იანვარს განახლდება. გუშინ კი ლუის ვან გალის „ალკმაარს“ დასვენების დღე ჰქონდა და ამსტერდამში გალა-სალამოთი განიტვირთა. ალკმაარელთა ჩვენებურმა კაპიტანმა „მისტერ ბინმა“ კი ფოტო თანაგუნდელ ტიმ დე კლერთან (მარცხნივ) და კლუბის სელექციონერ ბარი ვან ჰალენთან გადაიღო.

# კო ადრიანსემ იცის: დემე? ფეიენოორდი!

**დონეცკის** „მეტალურგის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, ჰოლანდიელმა კო ადრიანსემ პირველი პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნა, რომ „მეტალურგის“ რამდენიმე ფეხბურთელს აქამდეც იცნობდა, მათ შორის, გიორგი დემეტრაძეს როტერდამის „ფეინოორდიდან“...

პრესკონფერენციის შემდეგ ადრიანსემ გუნდი სავარჯიშოდ გაიყვანა. ვარჯიშის ბოლოს გამართულ ორმხრივ თამაშში კი ქართველი ფორვარდის გუნდმა იმარჯვა. დემე აქტიური იყო, თუმც მას მეორე წრეში დიდი კონკურენცია ელის ძირითადში მოსახვედრად — დონეცკელებმა თანაქალაქელი „შახტარიდან“ უკრაინის შარშანდელი ჩემპიონატის ბომბარდირი ემანუელ ოკუდავა აიყვანეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გეწაძე კონტრაქტს ვარჯიშით უახლოვდება

**რევაზ გეწაძემ** და დავით გამეზარდაშილმა რიგის „სკონტოში“ პირველი ტესტ-მატჩი ჩაატარეს, ლიტვურ „ეკრანასთან“ ორივე ქართველმა ძირითადში ითამაშა: გამეზარდაშვილი შესვენებაზე შეცვალეს, გეწაძე კი 62-ე წუთზე.

„გუნდში ორი პოტენციური ახალწვეულია, ჩეხი და ქართველი. მართალია, „ეკრანასთან“ არც ერთმათნაგს თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ამბობენ, მარცხენა ფრთაზე მოთამაშე რევაზ გეწაძე ვარჯიშებზე ძალიან ძლიერად გამოიყურებაო“ — წერს ლატვიური პრესა.

რაც შეეხება ზაალ ელიავას, ის კვლავ ტრავმირებული ყოფილა და „ეკრანასთან“ ამიტომ ვერ ითამაშა.

**ილია ნანობაშვილი**

# რევიშვილის პირველი 90

**გუშინ** მოსამზადებელი ეტაპის პირველი ტესტ-მატჩი გამართა ყაზანის „რუბინმა“ და თურქულ „ანკარაგიუჯიუსთან“ 1:3 დამარცხდა.

ყაზანელთა შემადგენლობაში ერთადერთი ქართველი იყო: მეკარე ნუკრი რევიშვილმა 90 წუთი ითამაშა. მცველი ლაშა სალუქვაძე კი არ გამოჩენილა.

შეგახსენებთ, რომ სეზონის ბოლოს „რუბინი“ სამ ქართველს შეელია — მიხეილ აშვეთიას, გიორგი ქინქლაძეს და ზურაბ არზიანს.

20 იანვარს მოსკოვში „თანამეგობრობის თასის“ გათამაშება იწყება და საქართველოს ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ რუსეთის დედაქალაქში რამდენიმე დღეში გაემგზავრება. „სიონი“ ახლა თბილისში, სასტუმრო „ლიზიშია“ შეკრებაზე და 35-ე სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვარჯიშობს...

„სიონი“ მოსკოვური ტურნირისთვის რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა და ერთ-ერთი მათგანი 28 წლის ვიტალი დარასელიაა, ვისაც ეს ტურნირი უკვე მოგებული აქვს — სამი წლის წინ ივო შუშაკის თბილისის „დინამომ“ მოსკოვში ფურორულად ითამაშა და დარასელია იმ გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო... დარასელია ახლა ამ ტურნირის მეორედ მოგებისთვისაა მოტივირებული...



# მას მოსკოვში უკვე მოუგია

## ვიტალი დარასელია: ხელოვნურზე ტექნიკურობა იმარჯვებს

— **ჯერაც ყარაგანდის „შახტიორის“ ფეხბურთელი ხარ და მოსკოვური ტურნირის მერე ყაზახეთში დაბრუნდები?**

— „შახტიორთან“ კონტრაქტი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ იქ არ დავბრუნდები, სხვა გუნდში გავაგრძელებ თამაშს. „თანამეგობრობის თასზე“ თამაში ჩემთვის იმითაც არის საინტერესო, რომ ახალ გუნდში ვაპირებ გადასვლას.

— **„თანამეგობრობის თასი“ ერთხელ უკვე მოიგე — როგორ ფიქრობ, რაში მდგომარეობს ამ ტურნირის სპეციფიკა?**

— ამ ტურნირს იგებს ის, რომელიც ყველაზე უფრო შეკრული გუნდია და საერთოდაც, ეს არის მთავარი ფეხბურთში. თუმც სპეციფიკას ისიც განსაზღვრავს, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს არ უყვარს ხელოვნურსაფარიან მოედანზე თამაში. მაშინ, როცა „დინამოსთან“ ერთად მოვიგე „თანამეგობრობის თასი“, საქართველოში ცუდი მოედნები იყო და მაღალხარისხიან ხელოვნურ საფარზე თამაში ჩვენთვის სასიამოვნო გამოდგა. ახლა ხელოვნურსაფარიან მოედანზე კი ვვარჯიშობთ, თუმც მოსკოვში უფრო მაღალი ხარისხის და რბილი მოედანია.

— **მონოლითურობის გარდა კიდევ რა ფაქტორია მნიშვნელოვანი მოსკოვურ ტურნირზე?**

— ტექნიკურ გუნდს ამ ტურნირის მოგების უკეთესი შანსი აქვს.

— **„სიონი“ რა შედეგს უმიზნებს „თანამეგობრობის თასზე“?**

— იქ მხოლოდ იმიტომ არ მოვდივართ, რომ უბრალოდ ვითამაშოთ — ჩვენი მიზანი ტურნირის მოგებაა და საამისოდ „სიონს“ კარგი ფეხბურთელები ჰყავს.

— **მიგაჩნია, რომ „სიონი“ დაახლოებით 2004 წლის „დინამოს“ სიძლიერისაა?**

— მაშინდელი „დინამო“ უფრო შეთამაშებული გუნდი იყო, ფეხბურთელები ერთი-ორი წელი ერთად ვთამაშობდით და უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს. „სიონში“ კი ბევრი ახალი ფეხბურთელია, მაგრამ საკონტროლო მატჩებშიც გამოჩნდა, რომ კარგი გუნდი ვართ.

— **„სიონში“ ჩვეულ პოზიციაზე, ფორვარდების უკან უნდა ითამაშო?**

— ასეა, თუმც ფორვარდების უკან მარტო არ ვიქნები — ჩემთან ერთად თორნიკე აფციაურიც ითამაშებს.

— **„სიონის“ მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე დაახლოებით რა ტაქტიკის გამოყენებას აპირებს „სიონს“ მოსკოვურ ტურნირზე?**

— ბურთის გაგორება და შენარჩუნება. ბურთი ადვილად და უბრალოდ არ უნდა დავკარგოთ — მიმაჩნია, რომ ეს სწორი მიმართულებაა, როცა ასე თამაშს კარგად ახერხებ, მეტოქეს გამკლავება უჭირს.

— **„თანამეგობრობის თასის“ შემდეგ საქართველოში შენი თამაში გამორიცხულია?**

— არა მგონია, საქართველოში ვითამაშო.

— **უფრო რუსეთ-უკრაინის გუნდებიდან ელი მოწვევებს?**

— ჯერ „თანამეგობრობის თასზე“ უნდა ვითამაშო და მერე გამოჩნდება რაღაც-რაღაცები.

— **ყაზახეთიდან წამოსვლა რატომ გადაწყვიტე?**

— მას შემდეგ, რაც ფული ჩაიდო, ყაზახეთის ჩემპიონატი კარგი დონისაა, ყაზახური გუნდების წლიური ბიუჯეტი დაახლოებით ხუთიექვსი მილიონი დოლარია, მაგრამ იქაურობას ვერ შევეგუე.

— **შუშაკის „დინამოში“ კარგად წარმოაჩინე თავი, რამდენჯერმე ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშე, მაგრამ მერე შენი კარიერა დაღმა წავიდა — როგორ ფიქრობ, სად დაუშვი შეცდომა?**

— შეცდომაში არ არის საქმე. როცა „დინამოდან“ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადავედი, მეექვსე თამაშში ფეხი მოვიტეხე, მოვმჯობინდებოდი და მერე ისევ ამტკივდებოდა კოჭი... ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ საფრანგეთში ოპერაცია არ გავიკეთე. ამ ყველაფრის შედეგად წელიწადი და ორი თვე გამიცდა...

— **ახლაც ბევრს კამათობენ შუშაკის „დინამოზე“. ზოგს მიაჩნია, რომ იმ გუნდს ევროსარბიელზე მაინცდამაინც დიდი პერსპექტივა არ ჰქონდა და ასეთ შეხედულებას 2003 წელს ალბანურ „ტირანასთან“ მარცხიც ამყარებს. შენ რას იტყოდი ამ საკამათო საკითხზე?**

— მაშინდელ „დინამოში“ ცუდი არაფერი ხდებოდა, გუნდში კარგი ატმოსფერო იყო და ასეთი სიტუაცია შუშაკმა შექმნა, „დინამომ“ თამაშს მოუმატა და მაშინდელი კონტინგენტი რომ არ დაშლილიყო, მაგარი გუნდი გავხდებოდით. რაც შეეხება „ტირანასთან“ მარცხს, პირველი მატჩი 3:0 მოვიგეთ და საპასუხო თამაშისთვის მოშვებულები ვიყავით, თანაც ტირანაში მაშინ ძალიან ცხელოდა...

**დავით თამართქილაძე**



ვასილ გიგიაძისა და ლადო ბურდულის „კრივბასი" ანთალიაში ემზადება. შანსი იყო, კრივოიროგულ კლუბში ქართველთა რაოდენობა გაზრდილიყო, მაგრამ უკრაინელებმა არც გიორგი ფეიქრიშვილი დაიტოვეს და არც მიხეილ ბობოხიძე. გეცოდინებათ, გიგიაძეს წინადადებები ჰქონდა სხვა გუნდებისგან, მაგრამ ქართველმა ლიდერმა „კრივბასის" დატოვება არ ისურვა...

# კრივბასმა ქვირი თქვა

## ვასილ გიგიაძემ ორწლიანი გააფორმა

— ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე „კრივბასთან". შემეძლო სხვაგან გადასვლა, მაგრამ აქაურობას შევეჩვიე, გულშემატკივრებისგან დიდ თანადგომას ვგრძნობ.

— რომელი გუნდები გიწვევდნენ?

— უმეტესად უკრაინულები, რომლებიც „კრივბასზე" ძლიერ გუნდებად ითვლებიან... იყო წინადადებები რუსეთიდანაც, თუმცა ახლა რაღა აზრი აქვს... „კრივბასმა" საკმაო თანხა მოითხოვა.

— ამ დღეებში მიხეილ ბობოხიძე და გიორგი ფეიქრიშვილი იყვნენ „კრივბასში". ისინი საბოლოოდ დაშორდნენ გუნდს თუ კიდევ არის შანსი?

— „კრივბასში" მხოლოდ მე და ლადო ბურდული ვართ. ბობოხიძე და ფეიქრიშვილი რომ ჩამოვიდნენ გასინჯვაზე, მაშინ გუნდთან ერთად არ ვიყავი, ფეხი მაწუხებდა. ორიოდე დღის წინ განვაახლე ვარჯიში. როგორც ვიცი, ბობოხიძე ლუგანსკის „ზარიაში" ვარჯიშობს.

— უკრაინის ჩემპიონატში ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად ითვლები, თუმცა საქართველოს ნაკრებში იშვიათად გიძახებენ...

— პროფესიონალი ვარ და თავის ჩალუნვის უფლება არ მაქვს. დამიძახებენ ნაკრებში — ხომ კარგი, თუ არა და, მე ვერაფერს შევცვლი. ჩემი საქმე გოლების გატანაა და, მგონი, ეს ცუდად არ გამომდის.

— ამჟამად ანთალიაში ხართ შეკრებაზე?

— სულ ახლახან ჩამოვედით, მეც და ბურდულიც ჯანზე ვართ. 16 იანვარს კი დავით მუჯირის „კრილიას" ვხვდებით.

— „კრივბასს" ხშირად უჩნდება ფინანსური პრობლემები. ახლა როგორი მდგომარეობაა?

— სტაბილური. ყველანაირი ფინანსური გაუგებრობა მორჩა, „კრივბასის" ბიუჯეტი ორჯერ გაიზარდა. წლეულს გაგვიძნელდება, საგაისო სეზონისთვის კი უეფას თასის საგზურისთვის ვიბრძოლებთ. კლუბის ხელმძღვანელობა სერიოზული დონის ფეხბურთელების მოწვევას აპირებს.

**ილია ნანობაშვილი**

# კობი ექიმების ხელშია

**საქართველოს** ნაკრებისა და გელზენკირხენის „შალკეს" ერთ-ერთ ლიდერ ლევან კობიაშვილს ჯანმრთელობა შეერყა — ნაწლავური ვირუსი შეეყარა და ახლა მკურნალობს.

კობის უკვე ორი დღეა, არ უვარჯიშია და ამის გარდა „შალკეს" გუშინდელი ტესტ-მატჩიც გამოტოვა.

გელზენკირხენული კლუბის ექიმების თქმით, ქართველი ფეხბურთელის მდგომარეობა საშიში არ არის და კობიაშვილი გუნდს მალე დაუბრუნდება.

**ქახა შალამბერიძე**



# კვირკველია ლიდერია



## ზაპოროჟიელთა ქართული ხმები

**ზაპოროჟიეს** „მეტალურგის" ოფიციალური ვებგვერდი გამოკითხვას ატარებს — ვინ იყო გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში?

გამოკითხვას საქართველოს ნაკრების წევრი დავით კვირკველია ლიდერობს — მას ქომაგთა 32 პროცენტმა მისცა ხმა.

კვირკველიამ პირველი წრე მართლაც მაღალ დონეზე ჩაატარა. მართალია, ტრავმის გამო ბოლო მატჩები გამოტოვა, მაგრამ ცხრა თამაშში სამი გოლის გატანა მაინც შეძლო, რაც მცველისთვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

„მეტალურგის" კიდევ ერთი ქართველი, თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე კი, ვინც ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის და გუნდს ანთალიაში ვერ წაჰყვა, გამოკითხვაში ჯერჯერობით მეოთხე ადგილზეა ხმათა 7 პროცენტით.

**ქახა შალამბერიძე**

# ქართველი იმედის რიგში

**არაბულ** შეკრებაზე მყოფმა კიევის „დინამომ" პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და გერმანული „ჰამბურგი" 4:1 დაამარცხა.

კიეველთა თავკაცმა ანატოლი დემიანენკომ ბევრი ფეხბურთელი გამოცადა, ჩვენი დავით იმედაშვილის და ვინმე ოლეინიკის გარდა. თუმცა დემიანენკოს თქმით, ამათ მომდევნო მატჩებში აუცილებლად მიეცემათ შანსი.

იქამდე კი დინამოელებმა მინი-ტურნირი ჩაატარეს, რომლის ფინალშიც „ვაშჩუკის გუნდი" „ბელკევიჩის გუნდს" შეხვდა. იმედაშვილი ბელკევიჩთან მოხვდა, მატჩი კი 2:2 დასრულდა.

პენალტების სერიაში ვაშჩუკელებმა იმარჯვეს და „ჩემპიონობაც" მოიპოვეს.

შეგახსენებთ, რომ იმედაშვილის გარდა „დინამოში" კიდევ ერთი ქართველი, ოთარ მარცვალაძე ირიცხება, მაგრამ ის ახალგამოჯანმრთელებულია და კიევში დარჩა.

**ქახა შალამბერიძე**



დავით იმედაშვილი დინამოელთა მინი-ტურნირში „ვერცხლს" დასჯერდა





# დაისვენე, იაშ

## ფინკე როსტოკზე ფიქრობს

**მორიგი** საკონტროლო შეხვედრა გამართა მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგმა". ბადენვიუნტერბერგელები ამჯერადაც ბუნდესლიგურ კლუბს, მიონხენგლადბახის „ბორუსიას" შეხვდნენ და 1:2 წააგეს.

ფოლკერ ფინკემ ამ შეხვედრაში სამი თავდამსხმელის ნაცვლად ორი ფორვარდი გაიყვანა, იაშვილი კი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. მე-60 წუთზე ფინკემ მთელი გუნდი შეცვალა, მაგრამ „იაშკა" ისევ უსაქმოდ დარჩა.

პირველი ტესტ-მატჩის დარად, მე-60 წუთიდან ჩაერთო შეხვედრაში ოთარ ხიზანეიშვილი, რომელმაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ქართველ ფეხბურთელთა გაუთავებელი ტრავმების გამო იაშვილის უთამაშებლობამ, ცოტა არ იყოს, დაგვაფიქრა და „ფრაიბურგის" ქართველ ფეხბურთელს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ...

— მძიმე მოსამზადებელი პერიოდის დროს ცოტა კუნთებმა შემაწუხა. ექიმებმა მითხრეს, ეს მხოლოდ გადაღლის ბრალიაო. ერთ კვირაში როსტოკში საკმაოდ მნიშვნელოვანი თამაში გვაქვს „ჰანზასთან". ბუნდესლიგაში დაბრუნების შანსი ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს და „ჰანზაც" ერთ-ერთი კონკურენტია. ამიტომ ფინკემ გადაწყვიტა, დავესვენებინე, რათა იმ შეხვედრას სრულ მზადყოფნაში შევხვდე" — გვითხრა იაშვილმა, რომელსაც ხიზანეიშვილზეც ვკითხეთ — ოთარი კარგ ფორმაშია, წინა საკონტროლო შეხვედრაში გოლიც გაიტანა, მაგრამ რატომღაც ფინკე ძირითადში არ ათამაშებს. ისე, სეზონის განახლებისას შეიძლება აზრი შეიცვალოს...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გიორგი ცინცაძე ვარსკვლავებს ეთამაშება

## კარგი ქართული ტრადიცია: ოლ სტარი



**ორი დღის წინ** გაუწყეთ, რომ გიორგი ცინცაძის ბალტიისლიგურ ოლ სტარში თამაში თითქმის გადაწყვეტილიაო და ამ ამბავს წერტილი უკვე დაესვა. საქართველოს ნაკრების 20 წლის გამთამაშებელი ევროპის არცთუ ურიგო ლიგის ყველა ვარსკვლავის მატჩში გაიქნევს ხელს, რაც მისი ასაკის მოთამაშისთვის მართლაც დიდი წარმატებაა.

სულ ახლახან ადრიატიკის ლიგის ოლ სტარში ითამაშა გიორგი მარკოიშვილმა, თუმც, მისგან განსხვავებით, ცინცაძე ხუთეულში არ იქნება. გიოს იმედი ჰქონდა, რომ გამოკითხვის ბოლო დღეებში საკმარის ხმებს მიიღებდა და ხუთეულში ჩაჯდებოდა, მაგრამ არ გამოვიდა. ცინცაძეს 2500 ხმით გაუსწრო „ჟალგირისის" ხორვატმა გამთამაშებელმა მარკო პოპოვიჩმა, რომელიც, სხვათა შორის, მისი კონკურენტი იყო მოსკოვის „დინამოშიც".

გამოკითხვის პრინციპი ასეთი იყო: მოთამაშეები სამ კატეგორიად იყვნენ დაყოფილნი — ცენტრებად, ფორვარდებად და უკანახაზელებად. ოლ სტარში მოხვდებოდა 5-5 ყველაზე მეტი ხმის მიმღები ფორვარდი და უკანახაზელი, ხოლო ცენტრებში სამ-სამ საუკეთესოს ერგებოდა საოლსტარო მაისურა. ამ ცამეტეულიდან ორ-ორი საუკეთესო უკანახაზელი და ფორვარდი და ერთი ცენტრი სასტარტო ხუთეულში ხუთეულში იქნებიან.

ცინცაძე ბალტიის ლიგის უკანახაზელთა შორის მესამე ადგილზე გავიდა 8603 ხმით. პირველობა რიგის ასკ-ის გამთამაშებელ კურტის ალინგუს ერგო, ხოლო მეორეზე, როგორც უკვე ვთქვით, მარკო პოპოვიჩი გავიდა.

ცინცაძემ გაუსწრო „ლიეტუვოს რიტასის" ამერიკელ უკანახაზელ კარიმ რაშს, რომელიც მანამდე ნბაში თამაშობდა და „ლეიკერსში" არცთუ ცუდ კალათბურთელად ითვლებოდა.

ცინცაძესა და რაშთან ერთად, ლეგიონერთა საოლსტარო გუნდის სათადარიგო სკამზე იჯდება ჟალგირისელი მარსელო მაჩადო, რომელიც ბრაზილიის ნაკრების წევრია.

გიორგი „როკის" ერთადერთი ლეგიონერია, რომელიც ყველა ვარსკვლავის მატჩში ითამაშებს. სამაგიეროდ, ბალტიელთა ნაკრებში ბლომად არიან მისი თანაგუნდელები. ვალო ლინგუ, მარტინ მიურესპი და გერტ კულამი ძირითადში იქნებიან, ხოლო ტარმო კიკერპოლი — სათადარიგო.

ყველა ვარსკვლავის მატჩი 3 თებერვალს ლიტვის საკალათბურთო დედაქალაქ კაუნასში გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**

### ბალტიელი ვარსკვლავები

ცენტრები: ვალო ალინგუ (როკი, 8 112 ხმა) — , რაიტის გრაფსი (ასკ, 7 261), მარიონას პეტრავიჩუსი (ლიეტუვოს რიტასი, 4 720)

ფორვარდები: მარტინ მიიურსეპი (როკი, 8 456), იონას მასიულისი (ჟალგირისი, 8 040), სტეფანას ბაბარაუსკასი (ასკ, 6 595), პაულიუს იანკუნასი (ჟალგირისი, 6 098), ტარმო კიკერპილი (როკი, 5 473)

უკანახაზელები: სანდის ვალტერსი (ასკ, 7 854), გერტ კულამა (როკი, 7 637), მანტას კალნიეტესი (ჟალგირისი, 7 499), რობერტას შტელმახერსი (ლიეტუვოს რიტასი, 6 693), არანდს სკელე (ბარონსი, 5 114)

### ლეგიონერი ვარსკლავები

ცენტრები: ტანოკა ბერდი (ჟალგირისი, 8 683), აარონ ჯორდანი (ასკ, 7 942), ტრევის რიდი (კალევი, 6 694)

ფორვარდები: ჟუაო ბატისტა (ლიეტუვოს რიტასი 13 455), მეთიუ ნილსენი (ლიეტუვოს რიტასი, 12 532), კერტის მარშალი (ბარონსი, 11 158), ლამარ ჯონსონი (ვენსპილსი, 9 613), კირკ პენი (ჟალგირსი, 9 218)

უკანახაზელები: კერტის მილაგი (ასკ, 11 687), მარკო პოპოვიჩი (ჟალგირისი, 11 339), გიორგი ცინცაძე (როკი, 8 603), კარიმ რაში (ლიეტუვოს რიტასი, 6 744), მარსელო მაჩადო (ჟალგირისი, 6 552).

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

12 იანვარი

**ატლანტა 99:93 დეტროიტი**
ატლანტა: აივი (4), ჯონსონი (34), მ. უილიამსი (12), სმიტი (5), რაიტი (4); ჩილდრესი (18), შ. უილიამსი (12), სტუდემაიერი (8), ჯონსი (2)
ფაჩულიას არ უთამაშია
დეტროიტი: მიურეი (9), ჰამილტონი (32), პრინსი (16), ვოლესი (17), დევისი (12 ქულა, 10 მოხსნა); დელფინო (3), ბლეილოკი (2), მაქსეილი (2), მუჰამედი, მაკდაისი

**ინდიანა 113:115 დალასი**
*ძირითადი დრო 103:103*
ინდიანა: ონილი (26), ჯეკსონი (22), გრეინჯერი (12), ტინსლი (17 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა)
დალასი: ნოვიცკი (43 ქულა, 12 მოხსნა), ტერი (30), ჰოვარდი (15)

**სიეტლი 122:114 იუტა**
*ძირითადი დრო 106:106*
სიეტლი: ალენი (54 ქულა, 10 მოხსნა), კოლისონი (25 ქულა, 13 მოხსნა), უოტსონი (10 ქულა, 16 პასი)
იუტა: ბუზერი (32 ქულა, 16 მოხსნა), ოქური (23), უილიამსი (15 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა)

**დენვერი 86:90 ჰიუსტონი**
დენვერი: აივერსონი (28), კემბი (24)
ჰიუსტონი: ბეტიე (25), ალსტონი (15)

**ფილადელფია 110:97 მილუოკი**
ფილადელფია: გრინი (30)
მილუოკი: ბოგუტი (20 ქულა, 24 მოხსნა)

**ნიუ იორკი 110:126 შარლოტი**
ნიუ იორკი: მარბერი (28)
შარლოტი: ოკაფორი (20)

**ნიუ ორლეანი 104:97 ვაშინგტონი**
ნიუ ორლეანი: ბრაუნი (19)
ვაშინგტონი: არენასი (23)

**გოლდენ სტეიტი 96:118 მაიამი**
გოლდენ სტეიტი: დევისი (21 ქულა, 10 პასი)
მაიამი: ვეიდი (22 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)

**ლეიკერსი 109:106 ორლანდო**
ლეიკერსი: ბრაიანტი (28 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი)
ორლანდო: ჰოვარდი (25 ქულა, 10 მოხსნა)

**პორტლენდი 95:87 საკრამენტო**
პორტლენდი: რენდოლფი (23 ქულა, 12 მოხსნა)
საკრამენტო: მარტინი (17)

**მემფისი 110:116 მინესოტა**
მემფისი: მილერი (23)
მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 11 მოხსნა)

**ბოსტონი 86:95 ტორონტო**
ბოსტონი: რონდო (23)
ტორონტო: ბოში (27)

13 იანვარი

**საკრამენტო 111:115 ჰიუსტონი**
საკრამენტო: არტესტი (34), უილიამსონი (30 ქულა, 12 მოხსნა)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (37), ალსტონი (22), ჰოვარდი (17), მუტომბო (11 ქულა, 18 მოხსნა)

**ფინიქსი 107:101 ორლანდო**
ფინიქსი: ნეში (23), დიაუ (19 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა), მერიონი (16)
ორლანდო: ნელსონი (26), თურქოლლუ (18)

**სან ანტონიო 93:80 ვაშინგტონი**
სან ანტონიო: ჯინობილი (19), დანკანი (18 ქულა, 11 მოხსნა)
ვაშინგტონი: არენასი (17)

**შარლოტი 89:83 ფილადელფია**
შარლოტი: ანდერსონი (15)
ფილადელფია: დალემბერი (12 ქულა, 15 მოხსნა)

**ჩიკაგო 111:66 მემფისი**
ჩიკაგო: ჰაინრიხი (20)
მემფისი: გასოლი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**იუტა 110:119 მაიამი**
იუტა: ბუზერი (29 ქულა, 14 მოხსნა)
მაიამი: ვეიდი (32 ქულა, 10 მოხსნა)

**კლიპერსი 92:104 კლივლენდი**
კლიპერსი: მაგეტი (22)
კლივლენდი: ჯეიმსი (28)

**დეტროიტი 81:73 ბოსტონი**
დეტროიტი: ჰამილტონი (22)
ბოსტონი: ჯეფერსონი (12 ქულა, 12 მოხსნა)

**მინესოტა 109:98 ნიუ ჯერსი**
მინესოტა: გარნეტი (32 ქულა, 14 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: კიდი (24 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა)

**მილუოკი — ნიუ ორლეანი**
გადაიდო

## ატლანტას უზაზაო უზადო

**9 იანვარს** „ინდიანასთან" მიღებულმა კოჭის ტრავმამ ზაზა ფაჩულიას 12 იარვანს „დეტროიტთან" თამაში გამოატოვებინა. ამ სეზონში „ატლანტას" ქართველი ცენტრისთვის ეს მესამე გაცდენილი მატჩი იყო, დანარჩენი 31 კი მან ძირითად ხუთეულში ითამაშა.

„ატლანტასთვის" ამ ტრავმიან პერიოდში ფაჩულია არ ყოფილა ერთადერთი დანაკლისი. არ უთამაშია ძირითად გამთამაშებელ სპიდი კლაქსტონს და საუკეთესო სათადარიგო ტაირონ ლუსაც. ასე რომ, „ქორები", ფაქტობრივად, ხეირიანი გამთამაშებლის გარეშე დაუხვდნენ ბოლო ხუთწლედში აღმოსავლეთის ყველაზე თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „დეტროიტს". სამაგიეროდ, „ატლანტას" 20-ღდიანი არყოფნის შემდეგ დაუბრუნდა ძირითადი ფორვარდი ჯოშ სმიტი.

მატჩის ძირითადმა დატვირთვამ „ატლანტელთა" მხრიდან ჯონსონსა და ჩილდრეს-უილიამსებზე გადაიარა. ორი გუნდის ლიდერები და საუკეთესო მექულეები, ამპლუით მსროლელები ჯო ჯონსონი და რიპ ჰამილტონი მთელ მატჩის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ქულების გროვებაში, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც სხვამ თქვა. ახალმოკეთებულმა ჯოშ სმიტმა 96:93 ანგარიშზე საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე 3-ქულიანი ჩააგდო და „ატლანტას" საკმაოდ მოულოდნელი გამარჯვება მოაპოვებინა. არადა, ამ სმიტს მანამდე 30 წუთში მხოლოდ ერთი ორიანი ჩაეგდო.

„თანაგუნდელის უნდა გჯეროდეს და გწამდეს. ჩვენ ბოლო სროლა ახალგამოჯანმრთელებულ მოთამაშეს მივანდეთ და მანაც გაგვიმართლა" — ამობდა ჯონსონი. წესით და რიგით, გადამწყვეტი ტყორცნა სწორედ ამ უკანასკნელს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ბოლო წამებზე დეტროიტელებმა ის საიმედოდ ამოკეტეს.

**კოტე ყორშია**



სიეტლელმა რეი ალენმა „იუტას" 54 ქულა ჩაუგდო

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ტორონტო | 17 | 20 | 45,9 |
| ნიუ ჯერსი | 16 | 20 | 44,4 |
| ნიუ იორკი | 16 | 22 | 42,1 |
| ბოსტონი | 12 | 24 | 33,3 |
| ფილადელფია | 10 | 27 | 27,0 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 23 | 13 | 63,9 |
| დეტროიტი | 21 | 14 | 60,0 |
| ჩიკაგო | 21 | 17 | 55,3 |
| ინდიანა | 20 | 17 | 54,1 |
| მილუოკი | 16 | 20 | 44,4 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 22 | 16 | 57,9 |
| ვაშინგტონი | 20 | 16 | 55,6 |
| მაიამი | 17 | 19 | 47,2 |
| შარლოტი | 12 | 23 | 34,3 |
| ატლანტა | 11 | 23 | 32,4 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 30 | 8 | 78,9 |
| სან ანტონიო | 27 | 11 | 71,1 |
| ჰიუსტონი | 25 | 13 | 65,8 |
| ნიუ ორლეანი | 14 | 22 | 38,9 |
| მემფისი | 9 | 29 | 23,7 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 24 | 13 | 64,9 |
| მინესოტა | 19 | 16 | 54,3 |
| დენვერი | 17 | 17 | 50,0 |
| პორტლენდი | 15 | 23 | 39,5 |
| სიეტლი | 14 | 25 | 35,9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 28 | 8 | 77,8 |
| ლეიკერსი | 24 | 13 | 64,9 |
| გოლდენ სტეიტი | 18 | 20 | 47,4 |
| კლიპერსი | 17 | 20 | 45,9 |
| საკრამენტო | 14 | 20 | 41,2 |

# დასვენება და მსოფლიოს თასი

## გია ლაბაძის სანაკრებო სურვილი

საშობაო-საახალწლო შესვენება საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში უკვე დასრულდა და იქაური რაგბობაც გახურდა. საფრანგეთის ჩემპიონატში ორმოცამდე ქართველი თამაშობს, მაგრამ ამ სეზონში ყველაზე მეტ ინტერეს ვეტერანი ბორჯღალოსნის გია ლაბაძის და გიორგი კუთარაშვილის „ტულონის" თამაში იწვევს. საამისო მიზეზიც არის: „ტულონში" ლაბაძის გვერდით 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისელი ვარსკვლავი ლენ ლუგერი, ახალზელანდიელი ლეგენდა ტანა უმაგა და საფრანგეთის ნაკრების მორკინალები თამაშობენ. პარადოქსია, მაგრამ „ტულონი" საფრანგეთის რანგით მე-2 დივიზიონში, ელიტა-2-ში თამაშობს. „ტულონი" გასულ სეზონში გავარდა უპირველესი ელიტიდან და საამსეზონოდ ვარსკვლავები კვლავ უძრიერესებში დასაბრუნებლად დაიმატა. გია ლაბაძეს საფრანგეთში დავუკავშირდით და აქეთურ-იქითური გამოვკითხეთ...

— საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე წრე ეს-ესაა დაიწყო და „ტულონი" თამაშიდან თამაშამდე უმატებს. ძალიან ნაყოფიერი შეკრება გვქონდა, შემადგენლობაც სოლიდური გვყავს და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ალბათ პირველ ელიტაში წლეულსვე დავბრუნდებით. ახლა მეორე ადგილზე ვართ, პირველადგილოსან „ბეზიეს" სადაც ირაკლი მაჩხანელი თამაშობს, ერთი ქულით ჩამოვრჩებით, ხოლო მესამე ადგილოსან „მეტრო-რასინგს" ასევე ერთი ქულით ვუსწრებთ. სამეულში საკმაო სიმჭიდროვეა, მაგრამ ჩვენი ოპტიმიზმის საფუძველს ჩვენივე სათამაშო ფორმა გვაძლევს. პირველ ელიტაში პირდაპირ დივიზიონის გამარჯვებული გადადის, ხოლო მეორე საგზურისთვის მეორე-მეხუთე ადგილოსნები. პლეი ოფში იბრძოლებენ.

— თუ წლეულსაც ვერ დაბრუნდით ელიტაში, კლუბის ხელმძღვანელობა ამას წარუმატებლობად ჩაგითვლით?

— რა თქმა უნდა, რადგან ყველანაირი პირობა გვაქვს შექმნილი, არაფერი გვიჭირს, თან ისეთი შემადგენლობა გვყავს, საფრანგეთის ჩემპიონსაც რომ შეშურდება.

— ამდენ ვარსკვლავში ხომ არ ჩაიკარგეთ?

— არა, გიორგი კუთარაშვილი მატჩს-მატჩზე არა, მაგრამ სტაბილურად თამაშობს, მეც რამე თუ არ მჭირს, ყოველთვის ძირითადში ვარ. მადლობა ღმერთს, არაფერი მაწუხებს და თამაშის პრაქტიკა მაქვს.

— ლეგიონერებთან ვისთან მეგობრობ?

— თითქმის ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ მეგობრობით ტანა უმაგასთან და ლენ ლუგერთან ვმეგობრობ. ტანა უმაგა ალბათ მალე დაგვტოვებს, კონტრაქტი კი აქვს სეზონის ბოლომდე, მაგრამ ისევ ზე-14-ში და შესაბამისად ნაკრებში უნდა დაბრუნება.

**— უკვე 33 წლის ხარ, კიდევ რამდენ ხანს აპირებ რაგბის თამაშს?**

— რაც შეეხება საკლუბო დონეს, ორ-სამ წელიწადს ალბათ კიდევ გავქაჩავ. სანაკრებო კარიერას კი წლის ბოლოს დავასრულებ. 3 თებერვალს ერთა თასზე, რუმინეთთან ვითამაშებ, მერე კი დასვენება მჭირდება და თუ მსოფლიოს თასზე წამიყვანენ, ეს იქნება ბოლო მატჩები ჩემს სანაკრებო კარიერაში.

**ბაჩო სვანიძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა



## ევროპის VIII ჩემპიონატი
### კაცები. შესარჩევი ტურნირი. მესამე ჯგუფი



# ძველით ახალ წელსაც ყველაფერი ძველია

14 იანვარი

**რუმინეთი 30:24 საქართველო**
**ლატვია 29:23 ბულგარეთი**

გუშინ რუმინეთის შავიზღვისპირა ქალაქ კონსტანცაში გაიმართა ვაჟ ხელბურთელთა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის.

ბუნებრივია, მეტოქეებმა ამჯერადაც დამაჯერებლად გვძლიეს, თუმც ორი დღით ადრე თბილისში ათგოლიანი მარცხის მერე ახლა „მხოლოდ" ექვსი ბურთი გვაკმარეს — 30:24. თამაშის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა, რომელიც მასპინძლებმა ხუთგოლიანი სხვაობით მოიგეს — 16:11.

შეგახსენებთ, რომ პარასკევს თბილისის სპორტის სასახლეში რუმინელმა ხელბურთელებმა ქართველები უფრო სოლიდურად — 34:24 დაამარცხეს.

ამრიგად, რუმინეთისა და ლატვიის ნაკრებებმა ვადამდე გაინაღდეს საპლეიოფო საგზურები. ისინი ივნისში ორრაუნდიან სერიებს გამართავენ წილისყრით გარკვეულ კონკურენტებთან ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *რუმინეთი* | 4 | 0 | 0 | 132:96 | 8 |
| *ლატვია* | 4 | 0 | 0 | 130:96 | 8 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 4 | 95:128 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 4 | 97:134 | 0 |



# აზერფილმის ინდური თავ-ბოლო

**ვეიკ ან ზეეში** წლის პირველი სუპერტურნირი დაიწყო. შეჯიბრში პლანეტის 14 საუკეთესო მოჭადრაკე მონაწილეობს და ერთმანეთში თითო-თითო პარტიას გაითამაშებენ. ტურნირის მთავარი ინტრიგა ფიდეს პირველი და მესამე ნომრების — ვესელინ ტოპალოვისა და ვლადიმირ კრამნიკის დაპირისპირება იქნება. ეს ორი დიდოსტატი ერთმანეთს მე-12 ტურში შეხვდება.

## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 12 — 22 იანვარი

1 ტური

| | | |
|---|---|---|
| სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| დავიდ ნავარა (ჩეხეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) |
| სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0:1 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |

პირველივე ტურში 19 წლის აზერბაიჯანელმა თეიმურ რაჯაბოვმა მასპინძელი ლუკ ვან ველი შავი ფიგურებით შემუსრა და ცხრილის ლიდერიც შეიქმნა. კავკასიელმა მოჭადრაკემ ძველინდური დაცვა გაითამაშა და მეტოქე მე-40 სვლაზე დააჩოქა.

რაჯაბოვმა დებიუტში ხელმწიფის ფლანგი განავითარა, მე-5 სვლაზე მთავარსარდალი საიმედოდ დაიბინავა და მხედარ-პაიკებით იერიშზე გადავიდა. საპასუხოდ ჰოლანდიელმაც გაიბრძოლა, ცენტრიდან შავებს მიაწვა და მათ რაზმში პაიკებით შეიჭრა. აზერბაიჯანელმა ლაზიერის ფლანგიდან მხედარი აამუშავა, მოიერიშე თეთრ პაიკებს უკან მდგარი ზურგი დაუშალა და უპირატესობაც მოიპოვა. რაჯაბოვმა ორივე მხრიდან შეუტია მეტოქეს და ალამი დააშვებინა.

„ადრე ვან ველმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ზუსტად ასეთი პარტია მომიგო, ასე რომ, ახლა კარგი რევანში გამომივიდა" — განაცხადა რაჯაბოვმა.

მსოფლიოს ჩემპიონმა კრამნიკმა 17 წლის უკრაინელი ვუნდერკინდი სერგეი კარიაკინი ვერ გატეხა და 33-ე სვლაზე დაუზავდა. ალ-




სანიშნავია, რომ თამაშისას რუსი მაგიდიდან ხშირად დგებოდა და ტოპალოვის დაფასთან ტრიალებდა.

პირველ ტურში თავი არც ბულგერლს გამოუდვია. იგი რუს ალექსანდრ მოტილევს 24-ე სვლაზე დაუზავდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ენდის სჯერა, როჯერმა იცის



ენდი როდიკმა როჯერ ფედერერს საჩვენებელი მატჩი მოუგო

**Kooyong Classic**
მელბურნი. ავსტრალია. ჰარდი
**კაცები**
**ფინალი**
**ენდი როდიკი (აშშ) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6:2 3:6 6:3**

ენდი როდიკმა შაბათს დაამტკიცა, რომ წლის პირველ სლემტურნირზე როჯერ ფედერერის ჰეგემონიას საფრთხე უმთავრესად სწორედ მისგან დაემუქრება. როგორც იქნა, ამერიკელმა მონახა ისეთი არგუმენტები, რომლებსაც შვეიცარიელმა ვერაფერი დაუპირისპირა, თორემ აქამდე იანკს ზედიზედ თერთმეტჯერ წავგო „მხიარულ როჯერთან“. ხოლო იმას, რომ ეს გამარჯვება საჩვენებლ ტურნირზე მოიპოვა, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ როდიკი მელბურნ-პარკის კორტებზე ფედერერს თუ გადაეყარა, გაცილებით მეტი თვითდაჯერებით ითამაშებს. ენდი-ბოიც ამაზე ლაპარაკობდა ნამატჩევს:

„მერე რა, რომ როჯერი ასეთი ტურნირზე დავამარცხე. ამ გამარჯვებით სარეიტინგო ქულები არ მომემატება, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს — უკვე მჯერა, რომ მისი დამარცხება შემიძლია. ახლა მთავარია, ეს რომელიმე ღირებულ ტურნირზე, თუნდაც აქ შევძლო“ — ხარობდა როდიკი.

მატჩის კრიტიკული მომენტი გადამწყვეტი პარტიის შუაწელზე იყო, როცა როდიკმა ბრეიკი გააკეთა და 5:3 დაწინაურდა. შემდეგ კი ენდი-ბოის ტიპური თამაში — ორი ეისი, ორი სწრაფი გათამაშებაც და ტრადიციული „YES“.

თვითონ ფედერერი კი, რომელსაც ნახევარი წელი არ წაეგო (ბოლოს ცინცინატის მასტერსზე დამარცხდა ენდი მიურეისთან), თავის მარცხს საკმაოდ მშვიდად შეხვდა, რადგანაც ასეთ მდგომარეობაში პირველად არ არის — შვეიცარიელმა შარშანაც ვერ იხეირა Kooyong Classic-ზე, მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობა მაინც მოიგო. ასე რომ, თვითონ „მხიარული როჯერისთვის“ კატასტროფული არაფერი მომხდარა:

„ენდიმ ძალიან კარგად ითამაშა და დამსახურებულადაც მოიგო, თუმც ეს წაგება ბევრს არაფერს ნიშნავს. ვთვლი, რომ სლემტურნირისთვის მზად ვარ — სათამაშო პრაქტიკაც მივიღე და ისიც ვიცი, თუ რა კომპონენტებში უნდა მოვუმატო“ — საკუთარი ძალების რწმენა სულაც არ შერყევია გენიალურ ალპელს.

**სიდნეი. ავსტრალია. ჰარდი**
**საპრიზო 436 000 $**
**კაცები**
**ფინალი**
**ჯეიმს ბლეიკი (3, აშშ) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:3 5:7 6:1**

ჯეიმს ბლეიკმა შეძლო სიდნეიში შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა და დამდეგ სლემტურნირს დიდებულ ფორმაში და კიდევ უფრო დიდებულ ხასიათზე ხვდება. შავტუხა ამერიკელმა ეს სეზონიც მაჟორულ ნოტაზე დაიწყო და იქნებ წლეულსაც შარშანდელივით იჩაუქოს.

აქამდე სიდნეიში ზედიზედ ორჯერ მხოლოდ ორს — ლეიტონ ჰიუიტსა (2004-05 წლებში) და პიტ სამპრასს (1993-94) მოეგოთ. ვერაფერს იტყვი, ბლეიკი სასიამოვნო კომპანიაში აღმოჩნდა.

ფინალში კი შავტუხა ამერიკელი ექსპირველ ჩოგან კარლოს მოიას გაუსწორდა. პირველ ორ სეტში თანაბარი ორთაბრძოლა იყო, მაგრამ გადამწყვეტ პარტიაში ბლეიკმა უდიდესი უპირატესობა იგდო ხელთ. შედეგად ესპანელმა მხოლოდ ერთი გეიმი მოიგო და ამერიკელთან ზედიზედ მესამედ წააგო. თუმც მოიას შურისძიების შანსი მალევე მიეცემა — ეს ორი ხომ ავსტრალიის ღია პირველობის პირველივე წრეში გადაეყრება ერთმანეთს და პირინეელიც იქ ეცდება სისხლის აღებას. ბლეიკს კი აშკარად არ გაუმართლა, სლემტურნირის საწყის ეტაპზევე ესოდენ ძლიერ მეტოქეს რომ დაეჯახა.

**ოკლენდი. ახალი ზელანდია**
**ჰარდი. საპრიზო 416 000 $**
**კაცები**
**ფინალი**
**დავიდ ფერერი (3, ესპანეთი) — ტომი რობრედო (1, ესპანეთი) 6:4 6:2**

ორი თიხნარის მოყვარულისა და თანამემამულის ჯახში იმან გაიმარჯვა, ვისაც ჰარდზე თამაში ოდნავ უკეთესად ეხერხება — დავიდ ფერერი კაუჩუკზე თამაშის სპეციალისტად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ეს ტომი რობრედოზე უკეთესად ეხერხება, რაც ოკლენდის ფინალშიც დამტკიცდა.

რობრედომ მხოლოდ პირველ სეტში იფაფხურა, მაგრამ იქაც სასარგებლოს ვერაფერს გამორჩა. მეორე პარტიაში კი რანგით უფრო მაღლა მდგომმა პირინეელმა სულაც უხეიროდ იქნია ჩოგანი და ფერერს წლეულს პირველი ტიტულის მოგებაში ბევრი ვერაფრით შეუშალა ხელი.



კიმ კლაისტერსი

**სიდნეი. ავსტრალია. ჰარდი**
**საპრიზო 600 000 $**
**ქალები**
**ფინალი**
**კიმ კლაისტერსი (3, ბელგია) — ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) 4:6 7:6 6:1**

კიმ კლაისტერსის სასარგებლოდ არაფერი მეტყველებდა — თამაში თავიდანვე არ წაუვიდა და მეტოქეს, ბელგიელის მეტოქე კი უკანასკნელ პერიოდში დიდებულად ათამაშებულ და ტოპმეჩოგნეების ხშირად გამამწარებელ ელენა იანკოვიჩი იყო, მატჩ-პოინტი ჰქონდა. თუმც არაერთხელ ითქვა, რომ კიმმა ხასწაული ფორმა აკრიფა და ეს სერბთან შეხვედრაშიც გამოჩნდა, როცა ეს ლამის წაგებული შეხვედრა სათავისოდ შემოატრიალა — ჯერ მატჩ-პოინტი გაანეიტრალა, შემდეგ სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა და იქ მოიგო. გადამწყვეტ პარტიაში კი ფუმფულა ბელგიელი მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას და თავის ბოლო სეზონში პირველი ტიტულიც ჩაიხუტა.

ამის შემდეგ აღარ არსებობს კითხვა, ვინ იქნება ავსტრალიის ღია პირველობის უმთავრესი ფავორიტი — კლაისტერსი დიდებულადაც თამაშობს და ფსიქოლოგიურადაც მშვენიერ მდგომარეობაშია.

**ჰობარტი. ავსტრალია. ჰარდი**
**საპრიზო 145 000 $**
**ქალები**
**ფინალი**
**ანა ჩაკვეტაძე (1, რუსეთი) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:3 7:6**

ანა ჩაკვეტაძემ ყველას დაანახვა, თუ რატომ თვლიან ყველაზე პროგრესირებად ჩოგბურთელად და ისიც დაამტკიცა, რომ რეიტინგში მეცამეტე პოზიციამდე ტყუილად არ აღზევებულა. წლის პირველ რუსულ ფინალში, ორი 19 წლის ჩოგბურთელის ჯახში, ქართული წარმოშობის რუსის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. მეორე სეტში ტაიბრეიკის მიუხედავად, ანა სიტუაციის ბატონ-პატრონი იყო და უფრო აკურატულად რომ ეთამაშა, მოგებაც გაუადვილდებოდა.

თუმც გამარჯვებულებს არ ასამართლებენ — კარიერაში მესამე ტიტულის მომგებმა ჩაკვეტაძემ კი ეგებ მელბურნ-პარკის კორტებზეც ბევრი სიურპრიზი შემოგვთავაზოს.

**ქახა ლომაშვილი**

სუმო

# იოკოძუნამ თავი დაიბრუნა

**ამ უქმეებზე** სეზონის პირველი დიდი ბაშო ექვატორს გადასცდა. იმპერატორის თასის ფავორიტთა სია კიდევ უფრო შეთხელდა და ლიდერთა შორისაც მოხდა გადაადგილებები, მაგრამ ვიდრე უმაღლესი მიზნებისთვის მებრძოლ სეკიტორებზე გეტყოდეთ, ქართველი კოკაის უიქენდური ნაჭიდავები ვახსენოთ.

ლევან ცაგურიამ ორქულიანი უარყოფითი ბალანსი ჯერ სამამდე გაზარდა, მერე კი ისევ ორზე ჩამოიყვანა. შაბათს „შავმა ზღვამ“ რეიტინგსიაში ერთი პოზიციით წინ მდგომ ხომასიოსთან წააგო. დასავლეთის მეხუთე და მეოთხე მაეგაშირებმა დაახლოებით ერთდროულად წამოიწყეს ილეთები. ორივე წაიქცა, მაგრამ ქართველი პირველი დავარდა. კვირას კი კოკაიმ ექსოძეკი დეძიმას აჯობა.

რვა ტურის შემდეგ ცაგურიას ანგარიშზე სამი მოგება და ხუთი წაგებაა. წინ კი კიდევ შვიდი ტურია. დღეს ქართველის მეტოქე ჩრდილოეთკორეელი კასუგაოა. კოკუგიკანური ბაშოს აღმოჩენის, ტამაკასუგას ერთპიროვნული ლიდერობა გუშინ დასრულდა. აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა იმპერატორის თასისთვის მებრძოლთა სიას კვლავ სათავეში უდგას, ოღონდ უკვე ორ სეკიტორთან ერთად. ტამაკასუგას წაუგებელი სერია პატარა ტანკად წოდებულმა ტაკეკაძემ დაასრულა.

მეშვიდე ქულები მიითვალეს და ლიდერთა ტრიოში დამკვიდრდნენ იოკოძუნა ასასიორიუ და რიგითი მაეგაშირა ტამანოსიმა. საჩემპიონო შანსებზე საუბრისას მთავარი აქცენტი, რაღა თქმა უნდა, ასასიორიუზე კეთდება. იმპერატორის თასის ცხრამეტგზის ამწევმა მონღოლმა „ცისფერმა დრაკონმა“ გუშინ კომუსუბი კისენოსატოსთან დაპირისპირებისას არაადამიანური ფიზიკური მომზადება გამოავლინა. მეტოქეს ამოსუნთქვა არ აცალა, ისე გაათრია არენის მიღმა. დღეიდან იოკოძუნა მაღალრეიტინგიან სეკიტორებთან დაჭიდებას იწყებს. პირველი გამოცდა ოძეკი მიაბიამასთან ექნება.

შვიდქულიან ლიდერებს კვალში ექვსქულიანი ოძეკი ტიოტაიკაი და რიგითი მაეგაშირები ტაკამისაკარი და ტოინოსიმა უდგანან.

**ოთარ გაღლაძელიძე**



მთის თხილამურობა

# მსოფლიოს თასი



ბოდე მილერმა პირველად მოიგო ევროპული სწრაფდაშვება

AFP

## სადღაა გასასმსხმელი თოვლი

**ევროპაში** კვლავაც თბილი ამინდებია და ჩვენებურმა ნათქვამმა, ისეთი ძუნწია, ზამთარში თოვლს არ გასესხებსო, აქტუალობა დაკარგა — ალპებში თოვლი მართლა გაჭირდა და გაძვირდა და აგერ გასულ უქმეებზეც, შვეიცარიული ვენგენისა და ავსტრიული ალტენმარკტის ფერდობებზე დიდი წვალებით შეგროვილ თოვლზე ჯაზირით ჩასრიალდა მსოფლიოს თასის მორიგი რბოლები.

ვენგენში კაცები გამოდიოდნენ, ალტენმარკტში კი ქალები და შაბათს ორივეგან სწრაფდაშვების ეტაპები იყო.

შვეიცარიაში ყველას ამერიკელმა ბოდე მილერმა აჯობა, თანაც უზარმაზარი უპირატესობით და ამ სეზონში მეოთხე, კარიერაში კი 25-ე გამარჯვება მოიპოვა. ამ წარმატების წყალობით მსოფლიოს თასის შარშანწინდელმა მფლობელმა საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე აიწია. პირველზე კვლავაც ნორვეგიელი აქსელ ლუნდ სვინდალია, ხოლო მეორე ადგილზე შვეიცარიელი დიდიე კუშე გახლავთ, ვინც მშობლიურ ტრასაზეც ასევე მეორე იყო.

ავსტრიაში კი მასპინძელმა იმარჯვა — ვეტერანმა რენატე გიოტჩლმა მცირედით აჯობა მეტოქეებს და ამ სეზონში მესამედ მოიგო მსოფლიოს თასის ეტაპი.

**გია მუჯირი**

13 იანვარი

### კაცები. ვენგენი (შვეიცარია)

| სწრაფდაშვება | |
|---|---|
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 2წთ.28,89წმ. |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 2.29,54 |
| 3. პეტერ ფილი (იტალია) | 2.30,36 |
| 4. ამბროზი ჰიფომანი (შვეიცარია) | 2.30,45 |
| 5. მარკო ბუხელი (ლიხტენშტაინი) | 2.30,50 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 671 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 651 |
| 3. ბოდე მილერი (აშშ) | 640 |
| 4. პეტერ ფილი (იტალია) | 524 |
| 5. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 480 |

### ქალები. ალტემარკტ-ზაუხენზე (ავსტრია)

| სწრაფდაშვება | |
|---|---|
| 1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1წთ.19,32წმ. |
| 2. დომინიკა გიზინი (შვეიცარია) | 1.19,55 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1.19,62 |
| 4. მარია ჰოლაუსი (ავსტრია) | 1.20,03 |
| 5. ინგრიდ ჟაკუე (საფრანგეთი) | 1.20,19 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 821 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 708 |
| 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 562 |
| 4. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 541 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 448 |

ბიათლონი

# მსოფლიოს თასი. მეხუთე ეტაპი
## რუჰპოლდინგი (გერმანია). 10-14 იანვარი

# ბიორნდალენმა სტენმარკი დაინახა

**შეუდარებელმა** ოლე ეინარ ბიორნდალენმა მორიგი ბენეფისი მოიწყო და გერმანულ რუპოლდინგში გამართულ მსოფლიოს თასის ეტაპზე ერთგვარი ჰეთ-თრიკი შეასრულა — ჯერ ლომის წილი დაიდო ნორვეგიული კვარტეტის წარმატებაში 4X7,5 კმ. ესტაფეტაში, მერე 10 კილომეტრზე სპრინტში იმარჯვა და ბოლოს 15 კილომეტრზე მასობრივი სტარტით რბოლაში აჯობა ყველას.



AFP

ბიორნდალენი, როდესაც სასროლეთზე შეცდომებს უშვებს, მაშინაც იგებს და ამ ჯერზე კი ოლემ ორივე ინდივიდუალურ რბოლაში იდეალურად ისროლა და მეტოქეებს შანსი არ დაუტოვა.

და, არა მარტო ბიორნდალენმა — რუპოლდინგში სხვა ნორვეგიელებიც დიდებულად გაისარჯნენ — ესტაფეტა ხომ მოიგეს, სპრინტში მთლად მთელი კვარცხლბეკი დაიპყრეს და მასსტარტში ბიორნდალენს გვერდი ემილ ჰეგლე სვენდსენმა დაუმშვენა.

ოლე ეინარის ანგარიშზე, უკვე 70 ინდივიდუალური გამარჯვებაა მსოფლიოს თასის ეტაპებზე და, თუ ზოგადად „თეთრი“ სპორტის, ანუ ზამთრის სახეობებს ავიღებთ, ნორვეგიელს ბევრი აღარ აშორებს ლეგენდარული შვედი მთის მოთხილამურის ინგემარ სტენმარკის აბსოლუტურ რეკორდამდე — გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სტენმარკმა მსოფლიოს თასის ეტაპებზე 86 გამარჯვება მოიპოვა და ბიორნადელენი, ვისაც წელს, უკვე 6 მოგება აქვს, ისეთი ტემპით მიდის და დანარჩენებს იმდენით ალემატება, რომ ადვილი შესაძლებელია, გაისად დაეწიოს კიდეც დიად შვედს.

ორიოდე სიტყვა ქალებზეც ვთქვათ და რუპოლდინგში ყველაზე უკეთ მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი, შვედი ანა კარინ ოლოფსონი გაისარჯა — სპრინტში მეორე იყო, მასსტარტში — პირველი და საერთო ჩათვლაშიც ფაქტობრივად დაეწია მანამდე დიდი უპირატესობით მოლიდერე გერმანელ ანდრეა ჰენკელს.

**გია მუჯირი**

### კაცები

| სპრინტი. 10კმ (2 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 23 წთ. 34,9 წმ. (0 აცდენა) |
| 2. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) | +37,2წმ. (0) |
| 3. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | +41,7 (1) |
| 4. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | +42,1 (1) |
| 5. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | +42,9 (0) |
| **მასსტარტი. 15 კმ (4 სასროლეთი)** | |
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 40 წთ. 58,1 წმ. (0 აცდენა) |
| 2. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | +47,7 (1) |
| 3. კრისტოფ შუმანი (ავსტრია) | +49,4 (1) |
| 4. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | +49,8 (1) |
| 5. მიხაელ როში (გერმანია) | +53,2 (1) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 388 ქულა |
| 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 349 |
| 3. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 330 |
| 4. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 307 |
| 5. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) | 289 |

### ქალები

| სპრინტი. 7,5 კმ (2 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. სანდრინ ბეილი (საფრანგეთი) | 24წთ.24,0წმ. (0 აცდენა) |
| 2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | +8,5წმ. (1) |
| 3. ფლორინ ბევერელ-რობერი (საფრანგეთი) | +37,0 (0) |
| 4. ირინა მალგინა (რუსეთი) | +38,4 (1) |
| 5. ტადეია ბრანკოვიჩი (სლოვენია) | +40,7 (1) |
| **მასსტარტი. 12,5 კმ (4 სასროლეთი)** | |
| 1. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 44წთ.32,0წმ. (4 აცდენა) |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | +20,0წმ. (3) |
| 3. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | +37,3წმ. (1) |
| 4. ტეია გრეგორინი (სლოვენია) | +53,1წმ. (0) |
| 5. ფლორინ ბევერელ-რობერი (საფრანგეთი) | +1.02,0 (2) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 371 ქულა |
| 2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 332 |
| 3. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 321 |
| 4. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 302 |
| 5. სანდრინ ბეილი (საფრანგეთი) | 286 |

ტრამპლინიდან ხტომა

ანდერს იაკობსენი



# მსოფლიოს თასი
## ვიკერსუნდი (ნორვეგია). 13 იანვარი

### კაცები

| გიგანტური ტრამპლინი | |
|---|---|
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 388,3 ქულა (208,0 მ.+193,5 მ.) |
| 2. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 384,1 (206,0+189,5) |
| 3. მატი ჰაუტამაეკი (ფინეთი) | 377,7 (190,0+201,0) |
| 4. იანე აჰონენი (ფინეთი) | 374,0 (202,5+187,5) |
| 5. ჰარი ოლი (ფინეთი) | 369,3 (197,5+191,5) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ანდერს იაკობსენეი (ნორვეგია) | 721 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 584 |
| 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 562 |
| 4. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) | 471 |
| 5. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 408 |

# რეგულარული ჩემპიონატი

### 12 იანვარი

**ნიუ ჯერსი 2:1 ატლანტა**
*0:1 0:0 2:0*
0:1 მელანბი (18), 1:1 გომესი (52), 2:1 ბრილინი (52)

**ნეშვილი 2:0 კოლუმბუსი**
*1:0 1:0 0:0*
1:0 არნოტი (14), 2:0 ვებერი (30)

**ედმონტონი 2:4 მინესოტა**
*0:0 2:2 0:2*
1:0 ჰორკოფი (21), 1:1 გაბორიკი (26), 1:2 როლსტონი (27), 2:2 სიკორა (38), 2:3 კარნი (50), 2:4 გაბორიკი (60)

### 13 იანვარი

**აილენდერსი 1:2 ნიუ ჯერსი**
*0:0 0:0 1:1 0:0 (ოვერტაიმი)*
0:1 მედენი (59), 1:1 შატანი (60), 1:2 გომესი (64)

**ბუფალო 2:3 ტამპა**
*0:1 2:1 0:1*
0:1 ლეკავალიე (11), 1:1 პომინვილი (25), 2:1 კოტალიკი (25), 2:2 ბოილი (36), 2:3 რიჩარდსი (47)

**დეტროიტი 6:3 ჩიკაგო**
*1:1 2:1 3:1*
0:1 სიბრუკი (6), 1:1 ჰომსტრომი (16), 2:1 უილიამსი (33), 3:1 ლანგი (35), 3:2 მაკდონალდი (37), 4:2 უილიამსი (54), 4:3 სალმელაინენი (55), 5:3 მარკოვი (55), 6:3 დრეიპერი (60)

**კაროლინა 3:4 ატლანტა**
*1:2 1:0 1:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 მელანბი (3), 1:1 უილიამსი (4), 1:2 მეტროპოლიტი (19), 2:2 უიტნი (30), 3:2 ზაიდენბერგი (41), 3:3 ჰოლიკი (51)

**კოლუმბუსი 1:4 ნეშვილი**
*0:3 1:1 0:0*
0:1 სმიტსონი (6), 0:2 სმიტსონი (8), 0:3 კარია (19), 1:3 ჰეინსი (31), 1:4 ვებერი (37)

**რეინჯერსი 3:1 ბოსტონი**
*1:1 1:0 1:0*
1:0 ნიულანდერი (11), 1:1 სავარი (12), 2:1 სტრაკა (26), 3:1 ორტმაიერი (58)

**ტორონტო 1:6 ვანკუვერი**
*1:1 0:1 0:4*
0:1 ოლუნდი (9), 1:1 ბატალია (14), 1:2 დ. სედინი (21), 1:3 ლინდენი (45), 1:4 პაიეტი (45), 1:5 სალო (53), 1:6 ნესლუნდი (58)

**ფლორიდა 7:3 ვაშინგტონი**
*2:0 3:1 2:2*
1:0 ბაუმისტერი (2), 2:0 გრეტონი (13), 2:1 სიომინი (32), 3:1 უაიზი (35), 4:1 ოლეში (38), 5:1 ბაუმისტერი (39), 6:1 უაიზი (45); 6:2 პეტინგერი (51), 7:2 უაიზი (51), 7:3 კლარკი (60)

**ფინიქსი 1:4 სან ხოსე**
*0:1 1:1 0:2*
0:1 კლოუ (9), 1:1 დოუნი (30), 1:2 კლოუ (35), 1:3 კარლი (41), 1:4 ჩიჩუ (52)

**ანაჰაიმი 2:3 კოლორადო**
*1:1 0:1 1:0 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 ბრიუნე (5), 1:1 გელნკროსი (6), 1:2 ვოლსკი (23), 2:2 გეტცლაფი (49)

**კალგარი 3:1 ედმონტონი**
*0:0 1:1 2:0*
0:1 ჰორკოფი (26), 1:1 ფრიზენი (29), 2:1 ფანიოფი (52), 3:1 ლომბარდი (55)

**ფილადელფია 3:5 პიტსბურგი**
*1:2 2:1 0:2*
1:0 პოტულნი (2), 1:1 გონჩარი (8), 1:2 მალკინი (15), 1:3 რეკი (36), 2:3 განიე (38), 3:3 ფორსბერგი (39), 3:4 სტაალი (48), 3:5 მალკინი (60)

**ოტავა 8:3 მონრეალი**
*4:0 4:2 0:1*
1:0 რედენი (5), 2:0 ვერმეტი (11), 3:0 კომრი (16), 4:0 ალფრედსონი (19), 5:0 ჰითლი (23), 6:0 კელი (24), 6:1 ჰიგინსი (26), 6:2 რივე (26), 7:2 იგზი (40), 8:2 მეზაროში (40), 8:3 სურეი (48)

**სენტ ლუისი 6:5 ლოს ანჯელესი**
*2:2 3:2 1:1*
0:1 კამალერი (4), 1:1 რუჩინსკი (9), 1:2 კოსტოპულოსი (15), 2:2 მაკლემენტი (19), 2:3 ბლეიკი (22), 3:3 ტკაჩუკი (25), 4:3 სტემპნიაკი (31), 4:4 ნორსტრომი (37), 5:4 უაიტი (39), 6:4 ვაიდმენი (48), 6:5 ბლეიკი (55)



AFP ნიუ იორკიდან

აილენდერსელმა მიროსლავ შატანმა მატჩის დამთავრებამდე 4 წამით ადრე გაათანაბრა ანგარიში



## მსოფლიოს თასი
### ვალ დი ფიემე (იტალია). 13 იანვარი

| 10კმ მასსტარტი + 2 ნახტომი | |
|---|---|
| 1. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) 241,7 ქულა (25-ე ადგილი რბოლის შემდეგ) | |
| 2. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) | 238,2 (3) |
| 3. ჟესონ ლამი შაპიუი (საფრანგეთი) | 237,5 (22) |
| 4. ჰავარდ კლემეტსენი (ნორვეგია) | 236,1 (7) |
| 5. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | 235,4 (2) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 496 ქულა |
| 2. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | 455 |
| 3. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | 428 |
| 4. ჟესონ ლამი შაპიუი (საფრანგეთი) | 368 |
| 5. სებასტიან ჰაზენეი (გერმანია) | 325 |



# ტოიოტამ ყველას დაასწრო, გაასწრებს კი ყველას?



AFP კიოლნიდან

„ტოიოტას" წელსაც იარნო ტრული და რალფ შუმახერი გახედნიან

**უკვე**, მესამე წელია, საფორმულო გუნდებიდან ყველას „ტოიოტა" ასწრებს საახალსეზონო მრბოლ-ბოლიდის წარდგენას.

ისე, ისიც ხომ ნათელია, რომ პრეზენტაციას ძალთა რეალური საზომით ვერ მივუდგებით, რადგან, ბუნებრივია, სახალხოდ პირველი გამოჩენისას ყველას პირზე ერთი და იგივე აკერია — მანქანა გავაუმჯობესეთ, მძღოლებიც მაგრები გვყავს და ამჯერად წინა სეზონზე უკეთეს შედეგს მოვიმკითო.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ კიოლნში, „ტოიოტას" შტაბ-ბინაში მოწყობილი ამ იაპონური სუპერკონცერნის საჯინიბოს წარდგენასაც ოპტიმისტური ტონი გასდევდა.

„ტოიოტას" ბოსი ცუტომუ ტომიტა: „შარშან ჩვენ საქვეყნოდ გამოვაცხადეთ, რომ პირველი დიდი პრიზის მოგებას ვაპირებდით. მიზანს ვერ მივაღწიეთ, ამიტომ იმავეს ვგეგმავთ 2007 წელს და ეს გუნდისთვის საუკეთესო მოტივაციაა.

FT 107 აბსოლუტურად ახალი, წინამორბედისგან განსხვავებული მანქანაა. თითქმის ყველაფერი შევცვალეთ — აეროდინამიკური პაკეტი, დაკიდულობის სისტემა, ძრავა წინ წავწიეთ, რითაც ახალი, უსაფეხურო სიჩქარეთა კოლოფის ეფექტურობისთვის საჭირო პირობები შეიქმნა. ერთი სიტყვით, მაქსიმუმი გავაკეთეთ ბოლიდების ტექნიკური საიმედოობის ასამაღლებლად და გვჯერა, ეს ყველაფერი სასურველ ეფექტს მოიტანს."

„ტოიოტა" შარშანდელ ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გავიდა, რაც აშკარა ჩავარდნა იყო წინა სეზონის მეოთხე პოზიციის შემდეგ. მიუხედავად ასეთი არასახარბიელო შედეგისა, ამომავალი მზის ქვეყნის სუპერკონცერნის ხელმძღვანელობას მძღოლთა ტანდემი არ შეუცვლია. ახალთახალი „ტოიოტათი" 31 წლის გერმანელი რალფ შუმახერი და მასზე ერთი წლით უფროსი იტალიელი იარნო ტრული იქროლებენ.

ცნობისთვის, გასული სეზონი ორივემ ჩააფლავა, შესაბამისად, მხოლოდ მეათე და მე-12 ადგილები დაიკავეს.

რალფ შუმახერი: „ახალი მანქანა ოპტიმიზმის მიზეზს მაძლევს, გუნდს სერიოზული პოტენციალი აქვს და სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველი. ჩემი მიზანია, წლეულს მაინც მოვიგო „ტოიოტასთან" ერთად პირველი დიდი პრიზი. მხოლოდ 31 წლის ვარ, სამუშაოსგან სიამოვნებას ვიღებ და ყოველ ღონეს ვიხმარ წარმატების მისაღწევად."

იარნო ტრული: „შარშანდელმა სეზონმა გუნდის მოლოდინი არ გაამართლა, რამდენჯერმე ხელიდან გავუშვით წარმატების შანსი საიმედოობასთან პრობლემების გამო. დარწმუნებული ვარ, ამჯერად ყველაფერი უკეთესად იქნება და „ტოიოტასთან" ერთად შევძლებ რბოლის მოგებას."

**გია ახალაძე**



# საინსი უდაბნოში დაიკარგა

**ერთდღიანი** დასვენების შემდეგ „ლისაბონ-დაკარის" მონაწილეებმა გუშინ ქანცგამწყვეტი საწვალებელი განაახლეს. ისინი ახლა მავრიტანიის ქვიშიან გზებზე დაჯირითობენ.

უმძიმესი სუპერმარათონის სატვირთო მანქანათა ხუთგზის ტრიუმფატორისა და ამჯერზეც მეწინავე რუსის ვლადიმირ ჩაგინის „კამაზის" უმძიმესი ავარიის შემდეგ გალიდერებული ჰოლანდიელი ჰანს სტეისი (MAN) ისეთი ვეებერთელა უპირატესობით დაწინაურდა, რომ თუ მასაც რაიმე კატასტროფული არ შეემთხვა, პირველ ტიტულს ვეღარავინ შეეცილება.

ასევე უპრობლემო ჩანს მოტოციკლებში შარშანდელ გამარჯვებულის ესპანელ მარკ კომას (KTM) უპირატესობა.

აი, ავტომობილების გაჯიბრებაში კი დიდი ამბები მოხდა. „კლასიკურ" რალიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა კარლოს საინსმა ჯერ იყო და თავისი „ფოლკსვაგენის" ქვიშებში ჩაჭედვის გამო 13 წუთი დაკარგა და ლიდერობაც დათმო, გუშინ კი გეზის მკვლეველი ნავიგატორული სისტემაც მოეშალა და გზააბნეული, 589-კილომეტრიანი, უგრძესი ჩქაროსნული ეტაპის ფინიშზე დაგვიანებით მივიდა. შედეგად, „მეფე კარლოსი" გალიდერებულ სამხრეთაფრიკელ ჟილ დე ვილერსთან საათზე მეტს აგებს და გენერალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ მეოთხე ადგილზეა.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნეტამც მთელ წელს გაჰყოლოდეს!..



შალვა გაჩეჩილაძემ და „ასპარეზმა" 2007 წელი უშეცდომოდ დაიწყეს

**თბილისი** ძველთაგანვე მხედრული ქალაქი იყო და მისი დღევანდელი მხედრები ერთი რამით მაინც გამოირჩევიან: შობა-ახალ წელს შეჯიბრით ულოცავენ ხოლმე სპორტის მოყვარულებს. ეს უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა და გუშინ გამართული ტურნირიც დელისის იპოდრომის საკონკურსო მოედანზე იმის დადასტურება იყო, რომ ეს ასპარეზობა უკვე წესად იქცა.

მართალია, ძირითადი ცხენებით სულ 4 მხედარი გამოდიოდა, მაგრამ ახალგაზრდა ცხენების მხედართა და მოყვარულთა ჯგუფის მონაწილენი სიმცირეს ვერ დაემდურებოდნენ.

მოყვარულთა ჯგუფში 12 ცხენმხედარი გამოვიდა. აქ იყვნენ, როგორც სულ ახალბედა ბედაურები (რომელთათვის ეს პირველი ასპარეზობა იყო), ისე მოზარდი ცხენოსნები, რომლებიც გამოცდილ სპორტულ ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი. I ადგილი მოიპოვა „ჟოკეიკლუბის" მოზარდმა გიორგი თოხაძემ (ცხენი „სულგრძელი"), მეორე ადგილიც მასვე დარჩა („ზული"). მესამეზე გავიდა მისივე თანაგუნდელი გიორგი ჩუგუაშვილი, რომელსაც დამატებით ჰიტში ატალახებულ მინდორზე გაფიცხებული თრაკენულ-ახალთექური ულაყი (დავლური") წაექცა, მაგრამ ინგლისური ფაშატი „სადაფი" კი უშეცდომოდ და სხვებზე სწრაფად მიიყვანა ფინიშზე.

ახალგაზრდა ცხენებით პირველი ადგილი მოიპოვა ვანო ნორაკიძემ („ეროსი", ჟოკეიკლუბი), მეორე იყო გამოცდილი ოსტატი კახაბერ კიკიანი, რომელიც ამჯერად საცხენოსნო სპორტსკოლის ულაყის „ელდორადოს" მხედრად წარმოგვიდგა. მესამე — ირაკლი ჭაფოძე („საფარი", სპორტსკოლა).

ძირითადი ცხენებით ადგილები ასე განაწილდა: შალვა გაჩეჩილაძე, გიორგი აფციაური, ვ. ნორაკიძე (საბივე „ჟოკეიკლუბის" მხედარია, მწვრთნელი — გელა ტატანაშვილი).

შეიძლება ეს ასპარეზობა სირთულით არ გამოირჩეოდა (სიმაღლე 120 სმ — ძირითადი, 110 —მეორე ჰიტში 120 — ახალგაზრდა ცხენები), მაგრამ წლის დასაწყისისთვის ესეც სასიკეთო ნიშანია. თანაც უნდა გავითვალისწინოთ ის გულითადობა, ნამდვილად მეგობრული, იმედიანი განწყობილება, რომლითაც დელისის ასპარეზი 2007 წელს შეხვდა. ასპარეზობა კი მთლიანად მოყვარული მხედრების, ცხენოსნობის გულშემატკივართა ერთობლივი მონაწილეობით იყო ორგანიზებული და არცთუ ურიგოდ (მთავარი მსაჯი — ალექსანდრე ვადაჭკორია, სხვა სასაპარეზო გარჯა კი ერთგული და ჩუმი პროფესიონალის — ზაზა ჩიტრეკაშვილისა და მისი მეგობრების კისერზე გადავიდა).

**ნოდარ ეზრალიძე**

*ავტორის ფოტო*

## სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 23 | ჩელტენემი-სკანთორპი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 23:45 | 24 | ტრანმერი-ქრიუ | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 37 | უოლსოლი-გრიმსბი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 38 | აკრინგტონი-მენსფილდი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 23:45 | 39 | ბერი-დარლინგტონი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 64 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 111 | არეცო-რიმინი | 3.40 | 2.90 | 2.20 | 1.56 | 1.33 | 1.25 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 166 | ბრესტი-კაენი | 3.40 | 2.80 | 2.20 | 1.53 | 1.33 | 1.23 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 207 | აკადემიკა-ბენფიკა | 5.30 | 3.50 | 1.60 | 2.10 | 1.22 | 1.09 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 246 | ბარნსლი-საუთენდი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 248 | იფსვიჩი-ჩესტერი | 1.35 | 4.00 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.72 |
| 23:45 | 249 | ლუტონი-ქპრ | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 250 | სიტი-უენსდი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 23:45 | 251 | ოლდემი-ვულვერჰემპტონი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 23:45 | 252 | პლიმუთი-პიტერბრო | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 23:45 | 253 | მიდლსბრო-ჰალი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| | | **17 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 254 | ფულემი-ლესტერი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 23:45 | 255 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 23:45 | 256 | ტოტენჰემი-კარდიფი | 1.37 | 4.00 | 7.00 | 1.02 | 1.14 | 2.54 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 258 | ბრეჩინი-კოუდენბითი | 1.85 | 3.40 | 3.55 | 1.19 | 1.21 | 1.73 |
| 23:45 | 259 | დანდი იუნაიტედი-სტ.მირენი | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 23:45 | 260 | ქუინი-დანდი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| | | **17 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 257 | ეარი-სტ.ჯონსტონი | 4.20 | 3.50 | 1.70 | 1.90 | 1.21 | 1.14 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 16:00 | 506 | ნოვოკუზნეცკი-კრილია | 1.30 | 4.50 | 5.20 | 1.00 | 1.03 | 2.41 |
| 19:30 | 507 | სევერსტალი-ცსკა | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 17:30 | 508 | ლადა-სიბირი | 2.00 | 4.30 | 2.35 | 1.36 | 1.08 | 1.51 |
| 20:00 | 509 | დინამო-მაგნიტოგორსკი | 2.50 | 4.30 | 1.70 | 1.58 | 1.01 | 1.21 |
| 20:00 | 510 | მვდ-ნეფტეხიმიკი | 1.85 | 4.30 | 2.50 | 1.29 | 1.06 | 1.58 |
| 17:00 | 511 | ტრაქტორი-აკ ბარსი | 5.00 | 4.30 | 1.35 | 2.31 | 1.06 | 1.02 |
| 20:00 | 512 | ლოკომოტივი-ს.იულაევი | 1.85 | 4.30 | 2.45 | 1.29 | 1.05 | 1.56 |
| 20:00 | 513 | ასკ-ხიმიკი | 2.10 | 4.30 | 2.20 | 1.41 | 1.07 | 1.45 |
| 20:00 | 514 | ვიტიაზი-ავანგარდი | 4.10 | 4.30 | 1.40 | 2.09 | 1.04 | 1.05 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გუნდში არის და არც არის

## კაპელომ ბექემი მოვარჯიშე ტურისტად აქცია



„**დევიდ ბექემი** ველარ ეღირსება „რეალში“ თამაშს, მას შემდეგ, რაც „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ ხუთწლიანი, 250 მილიონდოლარიანი კონტრაქტი გააფორმა — განაცხადა ფაბიო კაპელომ — შეუძლია, ივარჯიშოს, მაგრამ არ ვათამაშებ. ვფიქრობ, მოტივაცია დაკარგული აქვს, რაკი უკვე სხვა კლუბს ეკუთვნის“.

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ამერიკაში გადასვლის შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჯიბესქელი სპორტსმენი გახდება, თუმც შემოსავლის უმეტეს ნაწილს სხვადასხვა კომერციული თუ სარეკლამო გარიგებებიდან მიიღებს, რასაც ფეხბურთთან საერთო ეგებ არაფერიც არ ჰქონდეს.

ფაბიო კაპელო: „მე იგი გუნდიდან არ გამიგდია, ფაქტია, რომ წასვლა თვითონ მოისურვა და გადაწყვიტა. ბექემი უდიდესი პროფესიონალია. შესაძლოა, ვარჯიშით კარგი ფორმა შეინარჩუნოს, მაგრამ გუნდში ადგილს მაინც ველარ ვანდობ“.

31 წლის დევიდ ბექემმა კაპელოს ხელში ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ხუთი მატჩი ითამაშა. დანარჩენ შემთხვევაში ან სკამზე იჯდა, ანაც შეცვლაზე შედიოდა.

ინგლისელის წარმომადგენელმა სიმონ ოლივეირამ განაცხადა, რომ კაპელოს ნათქვამმა ბექემი გააოგნა, რადგან მას ივნისამდე აქვს კონტრაქტი რეალთან და წელიწადში ექვს მილიონ ევროს უხდიან. რაკი ჯამაგირს იღებს, უნდა ითამაშოს კიდეც, მაგრამ იტალიელს ეს არ აღელვებს. კითხვაზე, შესაძლოა თუ არა, რომ ბექემი ვადაზე ადრე გადავიდეს „გალაქსიში“, კაპელომ უპასუხა, თავად ფეხბურთელს ჰკითხეთო.

მეიჯორლიგა აპრილში იწყება და ინგლისელი მიმომხილველები ლოს ანჯელესში ბექემის ვადაზე ადრე ჩასვლას არ გამორიცხავენ. შეგახსენებთ, რომ „გალაქსისთან“ კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელმა თამაში აგვისტოდან უნდა დაიწყოს. ამერიკული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა და ნაკრების ყოფილმა წევრმა ალექს ლალასმა გაწაცხადა, რომ შესაძლოა, „რეალისთვის“ გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ დევიდ ბექემი აპრილშივე ჩაიყვანონ „გალაქსიში“.

ფაბიო კაპელომ ინგლისელი მას შემდეგ აითვალწუნა, როცა ტრავმირებული ბექემი ნოემბერში, რომში შეხვდა ჰოლივუდის ვარსკვლავ ტომ კრუზს. იტალიელმა თქვა, იმის მაგივრად, რომ ტრავმა მოიშუშოს, გარე-გარე დაეხეტებაო.

**ირაკლი ნინიძე**



# მარკამ მაურინიუს რეალის მარკა მიაკრა

„**რეალის**“ კრიზისს ალკოჰოლის სუნი უდის“ — ეწერა ესპანური „სპორტის“ საკვირაო ნომერში. ხსენებული გაზეთის ჟურნალისტი სამეფო გუნდის დამრიგებელ ფაბიო კაპელოს ერთ-ერთ ასისტენტს გაესაუბრა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ბერნაბეუზე“ დისციპლინა საგრძნობლად მოიკოჭლებს. „ფაბიო ასე ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევს, ფეხბურთელებთან უფრო მეტი სიმკაცრეა საჭირო. მოთამაშეები თავაშვებულად იქცევიან, ღამ-ღამობით იკარგებიან და დილით ვარჯიშებზე ღამეული თავგადასავლების და ალკოჰოლისგან ძალაგამოცლილები ბრუნდებიან“ — განაცხადა დონ ფაბიოსთან დაახლოებულმა პირმა.

„სპორტი“ მადრიდელი ასისტენტის ვინაობას არ გვიმხელს, კაპელოს მეგობარი კი მწვრთნელს ზედმეტ ლიბერალიზმს საყვედურობს: „უდისციპლინო ფეხბურთელებს ისევ ძველი, რკინისებური კაპელო თუ გამოაფხიზლებს. საერთოდ, ფაბიომ კლუბის პრეზიდენტს ყოვლისმომცველი წმენდის მოწყობა უნდა მოსთხოვოს, გუნდიდან სულ ცოტა, თერთმეტი ფეხბურთელია დასათხოვი. „რეალის“ მოთამაშე რომ გუნდის ღირსებას არად ჩააგდებს და ვარჯიშებზე იზარმაცებს, მხოლოდ ერთი წამალი უშველის — „სანტიაგო ბერნაბეუ“ დაუყოვნებლივ უნდა დაატოვებინონ“.

მრისხანე ასისტენტი კონკრეტულ „თავგასულთა“ დასახელებას მოერიდა, თუმცა მეორე ესპანურმა გაზეთმა „მარკამ“ ნათლად აღნიშნა, კაპელოს „ბერნაბეუდან“ წასვლის შემდეგ „რეალს“ სათავეში ჟოზე მაურინიუ ჩაუდგებაო. „მაუ“ სადღეისოდ „ჩელსის“ მეპატრონე აბრომოვიჩთან ცუდ ურთიერთობაშია და როგორც ინგლისური მედია გვარწმუნებს, 2007-ის ზაფხულიდან „სტემფორდ ბრიჯზე“ აღარ გაჩერდება. პორტუგალიელს („მარკას“ ცნობით) ყველაზე მეტად მადრიდის „რეალი“ აინტერესებს. „მაუ“ „რეალის“ ბოლო მატჩებს დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს. იგი მზადაა, ამ გუნდს სათავეში ჩაუდგეს“ — გვაცნობებს „მარკა“.

**ლადო ხომერიძე**

# ჟოზე და რომა დაუზრებულან

**ჟოზე მაურინიუმ** მაინც დაამარცხა რომან აბრამოვიჩი.

„ჩელსის“ პატრონი მაინც გაიღებს თანხას ახალი ფეხბურთელების შესაძენად.



ამის მიუხედავად, ვითარება ამ ორთა შორის ისეთი ყოფილა, რომ ერთმანეთს არც კი ელაპარაკებიან, საქმეებს კი მესამე პირის ჩარევით აგვარებენ.

გასულ კვირაში, მაურინიუმ ყველას აუწყა, რომ საკლუბო მიზეზის გამო ვერავის იყიდის, რაც იმას გულისხმობს, რომ აბრამოვიჩმა უარი თქვა მაურინიუს არგუმენტების მოსმენაზე. სამი კვირის წინათ, აბრამოვიჩმა „ობზერვერს“ უთხრა, რომ „ჩელსიში“ დიდი შენაძენების დრო წავიდა და „ჩელსის“ ყმაწვილთა აკადემია მეტად უნდა დაიტვირთოს.

ორთა შორის ურთიერთობა ანდრეი შევჩენკოს ყიდვამ წაახდინა. მაურინიუ გაბრაზდა, რადგან შევა არ სჭირდებოდა. მერე აბრამოვიჩმა ჟოზეს მარჯვენა ხელის, სტივ კლარკის შეცვლა გადაწყვიტა. ესეც ჩაიშალა. აბრამოვიჩს ისრაელელი სპეციალისტი სდომებია. ის, ვისიც სჯერა.

ახლა კი უცნობია, გაატანს თუ არა, მაურინიუ სეზონის ბოლომდე. ასახელებენ „ინტერს“, თუმცა, „რეალი“ უფრო მისაღები ვარიანტია მისთვის. საერთოდ, ტრანსფერების ამბავი „ჩელსიში“ ფრენკ არნესენს ეხებოდა, თუმცა, მაურინიუ მაინც თვითონ წყვეტდა. ბოლო დროს კი, არნესენი ისე დაუახლოვდა აბრამოვიჩს, რომ ტრანსფერთა საქმეებს თავად მოკიდა ხელი. თუმცა, მაურინიუმ არც ეს დათმო და კვლავ გაიმარჯვა. „ჩელსის“ ფანებს კი უყვართ ჟოზე. უმღერიან კიდეც: „ფეხზე წამოვუდგეთ განსაკუთრებულ ვინმეს“. ალექს ფერგიუსონმაც თქვა, ჟოზეს წასვლა არ მინდა, ძალიან საინტერესო მეტოქე და სპეციალისტიაო. მანამდე კი მაურინიუ ვილაცეებს იყიდის.

**ირაკლი გამყრელიძე**

# თურქული მუქარა

**თურქმა** ფეხბურთელმა ემრე ბელოზოღლუმ დაიქადნა, თუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია რასიზმში ბრალს დამდებს და დისკვალიფიკაციას მომისჯის, ამ ქვეყნის ფეხბურთიდან სულ წავალო.

საქმე კი ის არის, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ემრეს მართლა სდებს რასისტულ ლანძღვა-გინებაში ბრალს. ამბავი 30 დეკემბრისაა, როდესაც „ნიუკასლ იუნაიტედი“ „ევერტონს“ შეხვდა. მის ერთ ეპიზოდში თურქმა მეკარე ტიმ ჰოვარდს და მცველ ჯოლეონ ლესკოტს რაღაც-რაღაცეები უთხრა, ხოლო ლეონ ოსმანისკენ წარმოსახვითი ყვითელი ბარათი აღმართა.

„თქმით არაფერი მითქვამს, ცუდ ბიჭად კი გამომიყვანეს — ამბობს ბელოზოღლუ და იმუქრება — საკმარისია დისკვალიფიკაცია მომისაჯონ, რომ ინგლისს დავტოვებ. ისეთ ადამიანად მხატავენ, როგორიც არ ვარ. რასაც მაბრალებენ იმას თუნდაც იმიტომ ვერ ვიტყოდი, რომ ასე კარგად ინგლისურად ვერ ვლაპარაკობ. არასდროს მქონია რომელიმე ფეხბურთელთან რასისტული ხასიათის პრობლემა. რასისტულად ცხოვრებაში არავინ გამილანძღავს“.

ემრეს მხარი „ნიუკასლის“ მწვრთნელმა გლენ როოდერმაც დაუჭირა.

„ამ ბრალდებამ ემრე ძალიან გაანაწყენა — თქვა როოდერმა — ჩვენს გუნდში მრავლად არიან შავკანიანი ფეხბურთელები, მაგრამ ერთად ვართ და პრობლემა არასდროს გვქონია. მე, როგორც მწვრთნელი რასისტს არასდროს გავაჩერებ გუნდში“.

**ბაჰუნა ძედია**

# სამი ვარსკვლავიდან ერთ-ერთი

## ბარსელონა მილანში გადადის



**ყველაფერი** „სევილიას“ მწვრთნელ ხუანდე რამოსის მოულოდნელი განცხადების შემდეგ დაიწყო. ანდალუზიელმა დაახლოებით ერთი თვის წინ მავან იტალიურ გაზეთთან ინტერვიუში თქვა: „მე ვიცი, რომ ფრანკ რაიკარდი სამომავალსეზონოდ „ბარსელონას“ კი არა, „მილანს“ უხელმძღვანელებს“. ამის მერე იტალიური მედია, განსაკუთრებით კი „ლა გაძეტა დელო სპორტი“ მუდამ ჰოლანდიელის „მილანში“ დაბრუნების ამბავს უტრიალებს და ბეჯითად გვარწმუნებს, რომ ფრანკი 2007-08-ის სეზონისთვის კარიერის გასაგრძელებლად თავის ძველ „როსონერის“ მიაკითხავს.

ფრანკ რაიკარდს კონტრაქტით, „ბარსელონასთან“ 2009 წლამდე უწევს თანამშრომლობა. თუ ესპანურ მედიას გადავხედავთ, რაიკარდის „იტალიელობის“ შესახებ ვერაფერს აღმოვაჩენთ, თუმცა ჰოლანდიელის კონტრაქტის ცნობილი მუხლის შესახებაც ყველამ ყველაფერი იცის — თუ ფრანკი მოისურვებს, ნებისმიერ დროს შეუძლია კატალონიურ გრანდთან ხელშეკრულების ანულირება.

„როსონერის“ თავკაცობა კი კვლავ „სან სიროზე“ ამჯერად უკვე მწვრთნელის ამპლუაში მისულ ჰოლანდიელს სიხარულით შეხვდება (თუ ტრანსფერი განხორციელდა, რა თქმა უნდა). „მილანს“ სამომავლოდ ერთ-ერთი ჩვენი ყოფილი ვარსკლავი გაწვრთნის“ — განუცხადა „ლა გაძეტა დელო სპორტს“ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ. იტალიაში უკვე კარგა ხანია, „მილანის“ მწვრთნელობიდან კარლო ანჩელოტის მოხსნაზე საუბრობენ, ხოლო „გაძეტამ“ გალიანის იტერვიუს თან „სან სიროს“ ყოფილ ვარსკლავთა ფოტოები დაურთო. სამი ლეგენდარული კაცი — მარკო ვან ბასტენი, რობერტო დონადონი და ფრანკ რაიკარდი. ამ ხალხმა თავის დროზე არიგო საკის თაოსნობით „მილანისა“ და საერთოდ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა, ახლა კი შეიძლება, რომელიმე მათგანი „როსონერის“ მწვრთნელადაც მოევლინოს.

ანჩელოტის ციკლი კი „მილანში“ თავის დასასრულს მიუახლოვდა. სენიორ კარლომ „სან სიროზე“ დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ იყო დიდი იმედგაცრუებაც — მაგალითად, 2005 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ლივერპულთან“ საწყენზე საწყენი ფიასკო. იტალიელ ტიფოზთა უმრავლესობას ანჩელოტის ჩანაცვლება ფრანკ რაიკარდით სურს, კაცით, რომელიც „მილანის“ თავკაცებს და უბრალო გულშემატკივრებს ერთნაირად უყვართ. გალიანიმაც „ლა გაძეტა დელო სპორტთან“ მასლაათში ფრანკი აქო და ადიდა: „იგი „ბარსელონაში“ შესანიშნავდა, [illegible] გუნდის წარმატებები მნიშვნელოვანწილად ფრანკ რაიკარდის ბრწყინვალე სამწვრთნელო ნიჭის დამსახურებაა“. თუმცა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტს არც მარკო ვან ბასტენი დავიწყებია: „ვამაყობ, რომ მარკოსნაირი დამრიგებელი „მილანის“ სკოლის წარმომადგენელია. ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვხვდებით, მაგრამ მისი „მილანში“ სავარაუდო დაბრუნების შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით“.

სენიორ გალიანიმ მედიასთან თავისი გუნდის საფეხბურთო ფილოსოფიაზეც ისაუბრა: „ჩვენ გვსურს ისეთი „მილანის“ ხილვა რომლის საფეხბურთო ფილოსოფია უფრო „არსენალისას“ წააგავს, ვიდრე „ჩელსისას“. ყურადღებას ახალგაზრდა ვარსკლავებს მივაქცევთ, ხომ გახსოვთ, რონალდინიო მსოფლიომ „გრემიოში“ ბურთაობისას აღმოაჩინა... ჩვენც ასე მოვიქცევით. გუნდის წარმატებებისთვის „სან სიროზე“ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეების მოსვლაა საჭირო“. გალიანიმ ამასთანავე აღიარა, რომ ტიერი ანრის შეძენა სურდა: „ანრის შეძენით დაინტერესებული ვიყავით. მას გუნდში ახლაც დიდი სიამოვნებით მივიღებდით“.

**ლადო ხომერიკი**

# კოვაჩმა იუვენტუსს ისტორიულად მოუგო



დეშანმა სერია B-ში პირველი მარცხი იწვნია

**დიდიე დეშანის** „იუვენტუსმა“ ახალ წელს პირველად „ტიმ“-ის თასზე „მილანთან“ ითამაშა და 2:3 წააგო, ახლა კი ტურინელები „მანტოვასთანაც“ დამარცხდნენ და სერია B-ში თავიანთი ისტორიული პირველი მარცხი გაიფორმეს.

„ბებერმა ქალბატონმა“ „სტადიო მარტელიზე“ დისკვალიფიცირებული პაველ ნედვედის, ტრავმირებული რაფაელე პალადინოს, ჯორჯო კიელინის, ჟანალენ ბუმსონგის, კრისტიანო ძანეტისა და ჯულიანო ჯანიკედას გარეშე ითამაშა. აღსანიშნავია, რომ ამ სიას მოგვიანებით ჯანლუიჯი ბუფონიც შეუერთდა, რომელიც 79-ე წუთზე დაშავდა და დეშანმა იგი ანტონიო მორანტეთი შეცვალა. რამდენად სერიოზულია ჯიჯის ტრავმა, ჯერ უცნობია.

მატჩის ბედი მეორე ტაიმის დებიუტში გადაწყდა, როცა რობერტ კოვაჩმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მეოთხე დამატებულ წუთზე „იუვეს“ კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ ახლო მანძილიდან ფეხბურთელების ჯგროში კი გააძვრინა ბურთი, მაგრამ მისი სახიფათო დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

„მონტოვამ“ ქულა დაიმსახურა, მეტოქე ისე შემართული გვეთამაშა და ისე მოგვაწვა, რომ ვერაფერს გავხდით. მეორე ნახევარში რამდენიმე მომენტი შევქმენით, მაგრამ „მანტოვა“ უფრო მონდომებული და თვითდაჯერებული გახლდათ. ჩვენ სათანადო განწყობა არ გვქონდა და იმედია, ეს უბრალო შემთხვევითობა, რომელიც აღარ განმეორდება. ეს სამშაბათს „ჩეზენასთან“ გამოჩნდება“ — განაცხადა დეშანმა.

შეგახსენებთ, რომ „ჩეზენასთან“ „იუვენტუსს“ წესით, დეკემბერში უნდა ეთამაშა, მაგრამ ეს შეხვედრა რიკარდო ნერისა და ლუსიო ფერამოსკას ტრაგიკულად დაღუპვის გამო გადაიდო.

„ზამთრის შესვენებისას ყოველთვის არის კონცენტრაციის დაკარგვის საფრთხე. არ გეგონოთ, ბოდიშს ვიხდიდე, უბრალოდ, მართლაც ასეა. „მანტოვასთან“ შემართება და ყურადღება გვაკლდა. არ მინდა, ტრავმებზე ვიწუწუნო, იმას კი გეტყვით, რომ შესაძლოა, „ჩეზენასთან“ პალადინო დაგვიბრუნდეს, რაც სასიხარულოა“ — დასძინა დეშანმა.

ახლა ტურინელთა სატრანსფერო ამბებზე გადავდივართ. ამსტერდამის „აიაქსის“ ჩეხი მცველი ზდენეკ გრიგერა მომავალი სეზონიდან „იუვენტუსში“ რომ ითამაშებს, უკვე ცნობილია. დიდი შანსია, იგივე ბედი ეწიოს რენელ ჟაკ ფატისაც. ახალი კი ის არის, რომ „ბებერ ქალბატონს“ „ბაიერნის“ ვეტერანი ნახევარმცველის ჰასან სალიჰამიჯიჩისთვის დაუდგამს თვალი.

30 წლის ბოსნიელს მიუნხენელებთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს ეწურება და „იუვენტუსში“ გადასვლას თავისუფალი აგენტის სტატუსით შეძლებს. თუ ეს ტრანსფერი მართლაც განხორციელდა, სალიჰამიჯიჩი, რმელსაც ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში, მაურო კამორანეზის მშვენიერი შემცვლელი იქნება. „კამომ“ ზაფხულში შეიძლება გუნდი დატოვოს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# კაცმა ქალის ნახატი წაშალა



როზელა სენსი

**იტალიური** „რომას“ მმართველმა როზელა სენსიმ განაცხადა, რომ ამანტინო მანსინისა და ფრანჩესკო ტოტის შორის ყოველგვარი კონფლიქტი ამოწურულია. თუმცა მოგვიანებით „გლადიატორთა“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ ცოტა სხვაგვარი განცხადება გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ, როგორც გაირკვა, ამ ორ ფეხბურთელს შორის დიდი ხანია, უთანხმოებაა, რის გამოც იმაზეც ალაპარაკდნენ სეზონის ბოლოს მანსინი „რომას“ დატოვებს და ალბათ „ინტერში“ გადავაო. ბრწყინვალედ მოთამაშე ბრაზილიელს სხვა მსურველებიც ჰყავს.

როზელა სენსი: „მანსინისა და ტოტის შორის მცირე გაუგებრობა იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი დღე გაგრძელდა. ახლა არანაირი პრობლემა არ არის და რაც პრესაში დაიწერა, სიმართლეს არ შეესაბამება. მთლიანად გუნდშიც მშვენიერი ატმოსფეროა, ყველა ბოლომდე იხარჯება და ძალიან კმაყოფილი ვარ. ასევე უნდა გავაგრძელოთ და კიდევ უფრო მოვუმატოთ“.

ყველაფერი ისე მარტივად და იდეალურად რომ არ არის, როგორც „რომას“ პრეზიდენტ ფრანკო სენსის ქალიშვილი როზელა სენსი ხატავს, ცოტა ხნის წინაც დადასტურდა. იტალიის თასზე „პარმას“ გოლი მანსინიმაც გაუტანა და ტოტიმაც, მაგრამ აღნიშვნისას მათ ერთმანეთისთვის არ მიულოციათ.

„მათ შორის შეხლა-შემოხლა ერთ-ერთი ვარჯიშისას მოხდა და მერე გასახდელშიც წაიკინკლავეს. მას მერე წელიწადზე მეტი დრო გავიდა, მაგრამ ერთმანეთზე ისევ გაბუტულები არიან. ამ თემაზე ვისაუბრეთ კიდეც, მაგრამ მაშინ ორივემ დამარწმუნა, არანაირი პრობლემა არ არისო. თუმცა კარგად ჩანდა, რომ ისინი წესიერად შერიგებულნი არ იყვნენ. ტოტიც და მანსინიც მინდორზე კარგად გამოიყურებიან, ერთად კომბინაციებიც მშვენივრად გამოსდით და ამის გამო მათ კონფლიქტზე ყურადღება აღარ გამიმახვილებია. ფრანჩესკოც და ამანტინოც საკმაოდ დიდი და ჩამოყალიბებული პიროვნებები არიან, ურთიერთის პატივისცემა აქვთ და მჯერა, ბოლომდე შერიგდებიან. კარგია, უკვე ესალმებიან ერთმანეთს. ამ თემაზე სხვა ფეხბურთელებმა უკვე ხუმრობაც კი დაიწყეს“ — აღნიშნა სპალეტიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ინგლისი
## პრემიერლიგა
### XXIII ტური

**ბლექბერნი 0:2 არსენალი**
0:1 ტურე (37), 0:2 ანრი (71)
ბლექბერნი: ფრიდელი, ოიერი (ნონდა 59), ანშო, ხიზანიშვილი, ნილი, ემერტონი, სევიჯი, მოკოენა (თუგაი 46), პედერსენი, დერბიშირი, მაკკარტი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
არსენალი: ლემანი, ჰოიტი, ტურე, სენდეროსი, კლიში, გლები, ფაბრეგასი (ჯურუ 90), ჟილბერტო სილვა, როსიცკი, ანრი (ადებაიორი 80), ვან პერსი (ფლამინი 68)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სევიჯი, ნილი, მოკოენა, თუგაი
გაძევება: ჟილბერტო სილვა (13)
მსაჯი: ფოი
21 852 მაყურებელი

**მანჩესტერი 3:1 ასტონ ვილა**
1:0 პარკი (11), 2:0 კარიკი (13), 3:0 რონალდუ (35), 3:1 აგბონლაჰორი (52)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, კარიკი (ოში 80), სქოულზი, პარკი (საა 65), რუნი, ლარსონი (სოლსკიაერი 80)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ასტონ ვილა: სორენსენი, მელბერგი, რიდგუელი, გ. კეჰილი, ბუმა (სამუელი 46), ა. ჰიუზი (დევისი 46), მაკკანი, ოსბურნი, ბერი, აგბონლაჰორი, ბაროში
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: რუნი, ბერი
მსაჯი: ვები
76 073 მაყურებელი

**ჩელსი 4:0 უიგანი**
1:0 ლამპარდი (13), 2:0 რობენი (63), 3:0 კირკლანდი (70ს.კ.), 4:0 დროგბა (90)
ჩელსი: ილარიო, პ. ფერეირა (ჯერემი 86), რ. კარვალიუ, ესიენი, ბრიჯი, ბალაკი, მაკელელე, ლამპარდი, რობენი (ბენ საჰარი 82), დროგბა, ს. კალუ (მიკელი 82)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
უიგანი: კირკლანდი, ბოისი, ჰოლი, ანსუორთი, ბაინსი, კოტერილი (ტეილორი 66), სკოკო, ჰესკეი... ჰესტადი (ლანძაატი 73), კილბეინი, ჰესკი (იოჰანსონი 77), მაკკალოხი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: დროგბა, მაკკალოხი, კოტერილი, ჰესტადი
მსაჯი: ატკინსონი
40 846 მაყურებელი

**უოტფორდი 0:3 ლივერპული**
0:1 ბელამი (34), 0:2, 0:3 კრაუჩი (40, 48)
უოტფორდი: ფოსტერი, მარიაპა, დე მერიტი, მაკი, სტიუარტი, სმიტი, მაჰონი, ბანგურა (ჰენდერსონი 46), მაკნამი (ჰოსკინსი 46), იანგი, ბუაზა
მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი
ლივერპული: ხ. რეინა, აგერი, ჰიპია, კარაგერი, ფინანი, ხაბი ალონსო, ჯერარდი, ფ. აურელიო, კრაუჩი (ბენაიუნი 69), ბელამი (ფაულერი 84), კაიტი (რიისე 77)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მსაჯი: კლატენბურგი
19 746 მაყურებელი

**ბოლტონი 0:0 მანჩესტერ სიტი**
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ბენ ჰაიმი, მეიტე, გარდნერი, სპიდი, კამპო, ტალი (თეიმურიანი 66), ანელკა, დევისი (იანაკოპულოსი 63), დიუფი (ვაზ ტე 80)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მანჩესტერ სიტი: ვივერი, რიჩარდსი, დანი, ონუა, სინკლერი, დაბო, ბარტონი, აირლენდი, დისტინი, კორადი (სამარასი 71), ვასელი (მილერი 90)
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
გაფრთხილება: გარდნერი, ტალი, ბარტონი, დაბო
მსაჯი: მარინერი
22 334 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:3 ნიუკასლი**
1:0 დეფო (14), 1:1 ჰანტინგტონი (16), 2:1 ბერბატოვი (54), 2:2 მარტინსი (72), 2:3 ბათი (73)
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დევენპორტი (ჯალი 88), დოუსონი, ჰადლსტოუნი, ი. ლი, ლენონი, მალბრანკი (კინი 75), ტაინიო (ზოკორა 79), ბერბატოვი, დეფო
მწვრთნელი: მარტინ იოლი
ნიუკასლი: გივენი, ჰანტინგტონი, რიმეიჯი, ბათი, დაიერი, მილნერი, პატისონი, სიბიერსკი, სოლანო, ს. ტეილორი, მარტინსი
მწვრთნელი: გლენ როედერი
გაფრთხილება: რიმეიჯი, სოლანო, ჩიმბონდა, ბათი, ჰანტინგტონი
მსაჯი: ბენეტი
35 942 მაყურებელი

**ევერტონი 1:1 რედინგი**
0:1 ლესკოტი (28ს.კ.), 1:1 ჯონსონი (81)
ევერტონი: ჰოვარდი, ლესკოტი, ნევილი... ნესმიტი, ფ. ნევილი, იობო, ტ. კეჰილი, კარსლი, ოსმანი, ვან დერ მეიდე (ბიტი 71), ე. ჯონსონი, მაკფადენი (ანიჩებე 46)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
რედინგი: ჰანემანი, დე ლა კრუზი, ინგიმარსონი, შორი, სონკო, ჰარპერი, ჰანტი, ლიტლი, სიდუელი, კ. დოილი (ლონგი 38), ლიტა
მწვრთნელი: სტივ კოპელი
გაფრთხილება: სონკო, ჰანტი, კეჰილი, ანიჩებე
მსაჯი: რაილი
34 722 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 3:3 ფულემი**
0:1 რაძინსკი (16), 1:1 ზამორა (28), 2:1 ბენაიუნი (46), 2:2 მაკბრაიდი (59), 3:2 ბენაიუნი (64), 3:3 კრისტენვალი (90)
ვესტ ჰემი: კეროლი, დეილი, კოლინზი (სპექტორი 11), გაბიდონი (ნიუტონი 81), მაკკარტნი, ბენაიუნი, რეო-კოკერი, ქვოში, ბოა მორტე, ენდი კოული, ტევესი (ზამორა 13)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ფულემი: ლაშტუვკა, როსენიორი, კრისტენვალი, ბოკანეგრა, კედრუ, რუტლეჯი, ვოლცი, მ. ბრაუნი, რაძინსკი, მაკბრაიდი, ჰელგუსონი (მონტელა 67)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: რეო-კოკერი, კრისტენვალი, ზამორა, კედრუ, კოული, როსენიორი, ჰელგუსონი, ზამორა, ბოკანეგრა, რუტლეჯი
გაძევება: ზამორა (76)
მსაჯი: პოლი
34 977 მაყურებელი

**ჩარლტონი 1:3 მიდლსბრო**
1:0 ჰასელბაინკი (27), 1:1 კეტერმოლი (45), 1:2 არკა (63), 1:3 აიეგბენი (68)
ჩარლტონი: კარსონი, ელ კარკური, დიავარა, ჰრეიდარსონი, ტეტჩერი, რომედალი (ტომა 83), ჰოლანდი, რიდი, ამბროზი (ბ. ჰიუზი 83), მ. ბენტი (სემი 74), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: ალან პერდიუ
მიდლსბრო: შვარცერი, შავიერი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, კეტერმოლი, ბოატენგი (მორისონი 74), არკა, დაუნინგი, ვიდუკა (იუელი 90), აიეგბენი (კრისტი 83)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: ჰასელბაინკი, ჰოლანდი, ამბროზი, კეტერმოლი
მსაჯი: დინი
26 384 მაყურებელი

**შეფილდი 1:1 პორტსმუთი**
1:0 ქუინი (22), 1:1 ონილი (81)
შეფილდი: ჟერარი, კოზლუკი, ლუკეტი, დევისი, გირი, გილესპი, იაგიელკა, მონტგომერი, ს. ქუინი (ტონგე 85), ჰალსი, სტიდი (ნადე 77)
მწვრთნელი: ნილ უორნოკი
პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, პრიმუსი (კრანჩარი 54), ს. კემპბელი, ტრაორე, ონილი, დევისი (მვარუვარი 74), პ. მენდეში, ტეილორი, კ. კოული, კანუ (ჰიუზი 88)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: პრიმუსი, ონილი
მსაჯი: პრობერტი
30 269 მაყურებელი

# უხეშთა მეფის ჩაჩეხვისთვის



კრეიგ ბელამი
მეკარე ფოსტერს ვერ დაეწია

„მანჩესტერმა" სამ კვირაში მესამედ, ამჯერად „ოლდ ტრეფორდზე" დაამარცხა „ასტონ ვილა" და „ჩელსისთან" თავისი ექვსქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. თუმცა, ამ უკანასკნელმაც, ბოლოდროინდელ უიღბლობათა მოსათავებლად 4 უპასუხო გოლი გაუტანა „უიგანს".

„მანჩესტერმა" თამაშის ბედი შეხვედრის 10-დან მე-13 წუთებს შორის გადაწყვიტა, როცა ჯი პარკმა და მაიკლ კარიკმა თითო გაიტანეს. ამას კი მალევე მოჰყვა კრიშტიანუ რონალდუს ზუსტი თავური. ეს თამაში იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ბოლო შვიდ მატჩში, პირველად დაარტყა კარში უეინ რუნიმ და ბურთი ძელს გაარტყა, ჰენრიკ ლარსონი კი სასტარტოში იყო. „ვილას" საკითხი უფრო რთულია: მარტინ ონილს თორმეტი ტურია ვერ მოუგია.

„ჩვენ საქმე შევასრულეთ — თქვა ფერგიუსონმა — ასეთი საქმე სულ 15 დაგვრჩა. ახლა „არსენალთან" თამაშზე ვფიქრობთ და იქაც საქმის შესრულებას ვგეგმავთ".

„არსენალმა" კი ზედიზედ მეოთხედ მოიგო, თანაც ისე, რომ მთელი 77 წუთი ათი კაცით ითამაშა: ჟილბერტო სილვას პირდაპირ წითელი აუფრიალეს უხეშთა ხელმწიფის, რობი სევიჯის ჩაჩეხვისთვის. და მაინც, მეთოფეებმა ღირსეულად გაიმარჯვეს, რაშიც ტიერი ანრის დიდი დამსახურებაა: მან ჯერ სიზუსტის მცირე ჯადოქრობები ჩაიდინა და კოლო ტურეს გაატანინა, მერე კი ანრიმ 50 მეტრი გაირბინა ბურთით და უბურთოდ, ფაბრეგასთან პასების გაცვლით და ბურთი შორეულ ზედა კუთხეში ჩაუხვია ბრედ ფრიდელს.

თამაშის შემდეგ, სევიჯს ანრისთვის უთქვამს, ჟილბერტო გასაგდები არ იყოო.

ჟოზე მაურინიუმ კი „უიგანთან" გამარჯვებით წელი წამოიდგა და მისი ზაფხულში „ინტერში" გადაბარგების ხმები უარყო: „ჩემი მომავალი ახლა საინტერესო არ არის. რაც გაზეთებში წერია, ტყუილია და არც ჩემი თანაშემწე სტივ კლარკი გამიშვია გუნდიდან. ასე რომ, დამშვიდდით". ბოლო ოთხი თამაშში პირველმა გამარჯვებამ მაურინუს მართლაც სულზე მიუსწრო.

სათასო კომშარიდან გამოერკვა „ლივერპული", რომელმაც უოტფორდში მშრალად მოიგო, ძირითადად პიტერ კრაუჩის დუბლის წყალობით. სეზონის პირველი გასვლითი თამაში მოიგო „ბორომ", თუმცა პირველი გოლი თავისი ყოფილი ვარსკვლავის, ბებერ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკისგან მიიღო. „ბოლტონი" — „სიტი" უგოლოდ დამთავრდა: ერთადერთი შანსი უხეშობით განთქმულ ჯოი ბარტონს ჰქონდა, მაგრამ ვერ მოიქნია.

ყველაზე მაგარი თამაში კი „კრეივენ კოტეჯზე" გახურდა, სადაც „ფულემ" — „ვესტ ჰემის" მაინც საყაიმო თამაშში ექვსი გოლი გავიდა. „ფულემმა" წამატებულ დროში ფილიპ კრისტენვალის სადავო გოლით გაათანაბრა, რამაც ჩვეულებრივ მშვიდი ალან კერბიშლი გააცოფა, მსაჯ გრემ პოლის გადაწყვეტილებებმა თამაში წაგვაგებინაო.

თავიდან „ფულემი" იგებდა, რაძინსკის გოლით. ბობი ზამორამ ადრევე შეცვალა კარლოს ტევესი და უკვე 16-ე წუთზე გაათანაბრა, რაც მისი 100-ე პრემიერლიგური გოლი გამოდგა. შესვენების შემდეგ იოსი ბენაიუნმა კოხტა გოლით დააწინაურა ჩაქუჩნი, თუმც, ბრაიან მაკბრაიდმა თავურით გაათანაბრა. ბრწყინვალე ბენაიუნმა კვლავ გაიტანა: მერე მან საკუთარი კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

ასეთ თამაშში, 76-ე წუთზე პოლმა ზამორა გააძევა მეორე ყვითლით, პირველი მას გოლის ზეიმობისას მიელო, მერე კი კრისტენვალმა მოახერხა და შეჩხირა გამათანაბრებელი.

გამწარებულმა კერბიშლიმ თქვა: „თამაშის პირველ ცამეტ წუთში ორი მოთამაშე დაგვემტვრა. ორჯერ ვიგებდით. მერე ბობი გაგვიძევეს. მსაჯი ცდებოდა. გუნდმა კი ბრწყინვალედ ითამაშა".

**ირაკლი გამყრელიძე**

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დროგბა (ჩელსი) | 14 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 13 |
| კ. დოილი (რედინგი) | 10 |
| ვან პერსი (არსენალი) | 10 |
| აიეგბენი (მიდლსბრო) | 10 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 23 | 18 | 3 | 2 | 52:16 | 57 |
| ჩელსი | 23 | 15 | 6 | 2 | 41:17 | 51 |
| ლივერპული | 23 | 13 | 4 | 6 | 35:16 | 43 |
| არსენალი | 23 | 12 | 6 | 5 | 45:19 | 42 |
| ბოლტონი | 23 | 12 | 4 | 7 | 27:21 | 40 |
| პორტსმუთი | 23 | 10 | 7 | 6 | 34:23 | 37 |
| ევერტონი | 23 | 8 | 8 | 7 | 29:23 | 32 |
| ტოტენჰემი | 23 | 9 | 5 | 9 | 28:31 | 32 |
| რედინგი | 23 | 9 | 4 | 10 | 31:31 | 31 |
| სიტი | 23 | 8 | 6 | 9 | 19:25 | 30 |
| ნიუკასლი | 23 | 8 | 5 | 10 | 26:30 | 29 |
| ბლექბერნი | 22 | 8 | 4 | 10 | 24:31 | 28 |
| ფულემი | 23 | 6 | 10 | 7 | 25:35 | 28 |
| მიდლსბრო | 23 | 7 | 6 | 10 | 24:28 | 27 |
| ასტონ ვილა | 23 | 5 | 11 | 7 | 24:28 | 26 |
| შეფილდი | 23 | 6 | 6 | 11 | 18:30 | 24 |
| უიგანი | 22 | 6 | 4 | 12 | 23:36 | 22 |
| ვესტ ჰემი | 23 | 5 | 4 | 14 | 15:36 | 19 |
| ჩარლტონი | 23 | 4 | 4 | 15 | 18:43 | 16 |
| უოტფორდი | 21 | 1 | 9 | 11 | 12:29 | 12 |

**XXIV ტური**
20-21 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | უოტფორდი |
| ფულემი | : | ტოტენჰემი |
| ლივერპული | : | ჩელსი |
| სიტი | : | ბლექბერნი |
| მიდლსბრო | : | ბოლტონი |
| ნიუკასლი | : | ვესტ ჰემი |
| პორტსმუთი | : | ჩარლტონი |
| რედინგი | : | შეფილდი |
| უიგანი | : | ევერტონი |
| არსენალი | : | მანჩესტერი |

## ჩემპიონატი
### XXVIII ტური

ვესტ ბრომვიჩი — ლუტონი 3:2; ბარნსლი — პრესტონი 0:1; კარდიფი — საუთენდი 0:1; კოლჩესტერი — ლესტერი 1:1; ქოვენთრი — კრ. პალასი 2:4; დერბი — უესდი 1:0; ჰალი — ქუინზ პარკი 2:1; ნორვიჩი — პლიმუთი 1:3; საუთჰემპტონი — ბარნლი 0:0; სტოკი — ვულვზი 1:1; სანდერლენდი — იფსვიჩი 1:0. ბირმინგემი — ლიდსი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი | 27 | 16 | 5 | 6 | 46:26 | 53 |
| დერბი | 28 | 16 | 5 | 7 | 37:28 | 53 |
| პრესტონი | 28 | 14 | 8 | 6 | 41:28 | 50 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 13 | 7 | 8 | 51:33 | 46 |
| საუთჰემპტონი | 28 | 12 | 10 | 6 | 44:32 | 46 |
| კოლჩესტერი | 28 | 13 | 5 | 10 | 46:31 | 44 |
